გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№77 (833) 10 – 11 ივლისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი



ირაკლი ალასანია: „პირდაპირ გეტყვით, რაკი ეს წარსული ამბავია — მე პრემიერთან მქონდა ამ თემაზე საუბარი...“

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის მინისტრთან

„ეს ჩემი პოზიციაა, რომელსაც პირველად ახლა თქვენთან ვაჟღერებ და ჯერ პარტიისთვის არ შემითავაზებია!“

აკაკი ბობოხიძე სააკაშვილისა და ყველა იმ პირის გადაგომას ითხოვს, ვინც პარტიის წევრები იყვნენ და, პარალელურად, მაღალ პოლიტიკურ თანამდებობას იკავებდნენ

ნაციონალ დავით საყვარელიძის დედა პაციენტებს ვადაგასული წამლებით მკურნალობდა?!

აღიძვრება თუ არა სისხლის სამართლის საქმე მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილის დედის, მარინა ქეიშვილის წინააღმდეგ და რატომ აჩუქა სააკაშვილმა იებიდთა კავშირს 1 დარად მინის ნაკვეთი

ირაკლი ღარიბაშვილი: „პრეზიდენტი არ არის კანონი, კანონია პრეზიდენტი“

გვ. 2

შინაგან საქმეთა მინისტრმა აჭარაში, 2013 წლის სტატისტიკური მონაცემები შეაფასა

გვ. 9

ეენის დავითაშვილი პრემიერ-მინისტრს პროფესიული განათლების საკითხით დაინტერესებას სთხოვს

გვ. 8

ბედუკაძის საქმეზე მთავარი პროკურორის გადაწყვეტილება ძალაში რჩება

გვ. 2

შსს-ს „ბიოპლანის“ ამკრძალავი მექანიზმის შემოღების დაჩქარებას სთხოვენ

გვ. 10

„იხსენით ჩვენი სულები!“ – უსინათლოთა თეატრის პრემიერა

გვ. 12

ირაკლი ღარიბაშვილი: „პრეზიდენტი არ არის კანონი, კანონია პრეზიდენტი“

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, **„მისთვის, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრისთვის, როგორც ახალი მთავრობის წევრისთვის, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, მნიშვნელობა აქვს კანონს, წესრიგსა და წესიერებას. პრეზიდენტი არ არის კანონი, კანონი არის პრეზიდენტი!“**

ირაკლი ღარიბაშვილმა ეს განცხადება მიხეილ საკაშვილის იმ საგანგებო ბრიფინგის შემდეგ გააკეთა, რომელიც თბილისში, „დინამო არენაზე“ მომხდარ ფაქტს მიუძღვნა. 7 ივლისს, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „დინამოს“ ამხანაგურმა შეხვედრამ ახალი პოლიტიკური ვნებათაღელვა გამოიწვია. საქმე ის გახლავთ, რომ თამაშზე ჩამოსულმა რუსმა გულშემატკივრებმა წინასწარი შეთანხმება დაარღვიეს და „დინამო არენაზე“ იმპერიალისტური დროშები გამოფინეს, რასაც თბილისის „დინამოს“ ფან-კლუბის წევრების პროტესტი მოჰყვა. მართალია, სტადიონზე დროშები და პლაკატები ჩამოხსნეს, მაგრამ აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება მოჰყვა. პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** „დინამო არენასთან“ განვითარებულ პროცესებს სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა და განაცხადა: **„ის, რაც გუშინ მოხდა „თბილისის დინამოს“ სტადიონზე და რაც გრძელდება დღეს, ძალიან ბევრს მეტყველებს იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება დღეს საქართველო, რა გამოწვევებისა და საფრთხეების წინაშე ვიმყოფებით და რა რისკები არსებობს, თუ ეს გაგრძელდება. გუშინ იყო ფეხბურთის მატჩი, ჩვენ მივესალმებით და მე, პირადად, მივესალმები და პოზიტიურ მოვლენად მივიჩნევ ასეთ მატჩებს — მე ვიყავი ინიციატორი, რომ რუსი ტურისტებისთვის ცალმხრივად გამარტივებულიყო სავიზო რეჟიმი საქართველოში. მე კმაყოფილი ვარ, როცა არის კულტურული და სპორტული კონტაქტები, ტურისტების დონზე, ეს ხელს უწყობს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას, ეს კარგია ჩვენი უსაფრთხოებისთვის, ეს კარგია ჩვენი ეკონომიკისთვის, მაგრამ გუშინ საქართველოში ჩამოიყვანეს რუსეთის დუმის დეპუტატი, რომელსაც ხმა აქვს მიცემული ჩვენი ქვეყნის დანაწევრებისთვის 2008 წელს. ასევე, ხმა აქვს მიცემული აფხაზეთისა და ცხინვალის ე.წ. დამოუკიდებლობისთვის. ეს კაცი იბრძოდა და აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ, აქტიურად არის დაკავშირებული რუსეთის სპეცსამსახურებთან და, პრაქტიკულად, არის საქართველოს დაუძინებელი მტერი, ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი საქართველოს დაქუცმაცების მცდელობაზე. ამიტომ ერთია, როცა ქვეყანაში უშვებ ტურისტს, სპორტსმენს და ამას უნდა მივესალმოთ და მეორე — საქართველოს მტერს“.**

პრეზიდენტის განცხადებას შს მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** გამოეხმაურა და ვრცელი განმარტება გააკეთა, რომელსაც „ვერსია“ აქვე გთავაზობთ:

„პირველ რიგში, მინდა, ორიოდე სიტყვით ვუპასუხო ბატონ პრეზიდენტს, საზოგადოებას კი ავუხსნა და მივაწოდო რეალური ინფორმაცია. პირველი — მე მოვისმინე ბრალდება, რომ თითქოს ჩვენ, ჩვენმა მესაზღვრეებმა და, ზოგადად, ჩვენმა სამინისტრომ და შემოვუშვით რუსი ოკუპანტების წარმომადგენელი, რუსეთის დუმის წარმომადგენელი — დეპუტატი. მინდა, აქვე შევახსენო ყველას, მათ შორის ბატონ პრეზიდენტს და, ზოგადად, საზოგადოებას განვუმარტო, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 5 დეპუტატი, მათ შორის „ედინნაია როსიას“ წარმომადგენლები იყვნენ შემოსულები საქართველოს ტერიტორიაზე. მე მაქვს ლოგიკური შეკითხვა: თუ დღეს, უფრო სწორედ გუშინ, სპორტულ ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოსული რუსეთის დუმის დეპუტატი უქმნის პრობლემებს საქართველოს უსაფრთხოებას, რატომ არ უქმნიდა რუსეთის დუმის 5 დეპუტატი იგივე პრობლემას, საქართველოს წინა ხელისუფლებას. აქ არის ძალიან მარტივი რეალობა, ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური სპეკულაციები და ძალიან სამწუხარო პირადად ჩემთვის, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრისთვის, პრეზიდენტის აღნიშნული განცხადების მოსმენა.

რაც შეეხება მეორე ბრალდებას, დაკავებული სამი ახალგაზრდის თაობაზე. აქვე მინდა, ასევე ობიექტური ინფორმაცია მივაწოდო საზოგადოებას. რა თქმა უნდა, ტყუილია, რომ ეს ახალგაზრდები დააკავეს იმის გამო, თითქოს ისინი აგინებდნენ, თუ შეურაცხყოფას აყენებდნენ ოკუპანტებს, რომ ისინი ითხოვდნენ აფხაზეთის გათავისუფლებას ოკუპანტებისგან და თითქოს ამის გამო დააკავეს პოლიციელებმა. მე ვიტყოდი, რომ ეს არის უდიდესი შეურაცხყოფაა მთლიანად ჩვენი ხალხის, ჩვენი ერისა და ჩვენი სამინისტროსი, თითოეული პოლიციელისა.

აქვე მინდა, შევახსენო ყველას და მათ შორის პრეზიდენტსაც, რომ ეს პოლიციელები იბრძოდნენ აგვისტოს ომის დროს, ისინი მზად იყვნენ, სიცოცხლე შეეწირათ საკუთარი სამშობლოსთვის. ამ პოლიციელებს ძალიან უცენზურო სიტყვებით, საშინლად დამამცირებლად მიმართავდნენ ეს ახალგაზრდები. ეს იყო პირდაპირი პროვოკაცია, ისინი აგინებდნენ პოლიციელებს და პოლიციას. ეს არის კიდევ ერთხელ შეურაცხყოფა ჩვენი სიამაყის, ჩვენი პოლიციის, ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების.

ჩვენ არ დავუშვებთ და არავის ვაპატიებთ უსამართლოდ პოლიციელის შეურაცხყოფას. მე კიდევ ერთხელ ძალიან ვწუხვარ, რომ მოვისმინე პრეზიდენტის ეს განცხადება. ეს კიდევ ერთხელ იყო შეურაცხმყოფელი განცხადება ჩვენი სამინისტროსი და მთლიანად თითოეული პოლიციელის. სამწუხაროა, მაგრამ, პირველ რიგში, ჩვენ ვიცავთ კანონს, ჩვენ ვიცავთ უსაფრთხოებას ჩვენი მოქალაქეების, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, რომლებიც არჩევდნენ მოქალაქეებს პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. ჩვენ ვიცავთ ყველას, განურჩევლად მათი მრწამსისა, რელიგიური თუ სხვა შეხედულებებისა. შესაბამისად ჩემთვის, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრისთვის, როგორც ახალი მთავრობის წევრისთვის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, მნიშვნელობა აქვს კანონს, წესრიგსა და წესიერებას. პრეზიდენტი არ არის კანონი, კანონი არის პრეზიდენტი!“

რუსუდან შელია
557-100-768

ბედუკაძის საქმეზე მთავარი პროკურორის გადაწყვეტილება ძალაში რჩება

9 ივლისს, ტრადიციულ ბრიფინგზე, გენერალურმა პროკურორმა, ბოლო დროს მისი მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებს უპასუხა და ლადო ბედუკაძის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზეზებიც ვრცლად განმარტა. არჩილ კბილაშვილის განცხადებით, ბედუკაძის მიერ გამოქვეყნებული კადრების საშუალებით ციხეებში პატიმრების წამების პრევენცია მოხდა, მისი გადაწყვეტილება კი კანონის სრული დაცვით, საპროცესო კოდექსის 518-ე კოდექსის საფუძველზე მიიღო: **„მას შემდეგ, რაც ლადო ბედუკაძემ ციხეებში წამების ამსახველი კადრები გაავრცელა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა ცემა, წამება, არაადამიანური მოპყრობა დასრულდა და ათასობით მსჯავრდებული მსგავსი ბედის გაზიარებას გადაურჩა. ვიდეომასალების საფუძველზე დაწყებული სისტემური გამოძიების ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, 2300 პატიმარი დაიკითხა, რის შედეგადაც ანალიტიკური დასკვნაც დაიდო. პატიმართა განცხადებით, გაირკვა, რომ პატიმრებს ჯგუფურად და სასტიკად, რეზინის ხელკეტით, სავარჯიშო ბალიშით, პლასტმასის მილით, წყლით სავსე ბოთლით სცემდნენ. არსებობდა წყლიან ჭურჭელში თავის ჩაყოფის, სილის ჭამის, სავარჯიშო ძელზე დაკიდების, ელექტროშოკით წამების მეთოდებიც, საიდუმლო ნონი ამის შესაძლებლობას აღარ მაძლევს. აქედან გამომდინარე, ბედუკაძის საქმეზე უკვე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დარჩება“.** მთავარი პროკურორი მისი შეცვლის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციასაც გამოეხმაურა: **„მთავარი პროკურორის თანამდებობა დროში გაწერილი არ არის, მოქმედი კანონით ჩემი გადაყენება იუსტიციის მინისტრის წარდგინებითა და პრეზიდენტის თანხმობით, ნებისმიერ დროს შეიძლება, ასე რომ, ყოველდღე მზად ვარ, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მოვისმინო. ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. შემცვლელების შესახებ ინფორმაცია კი მხოლოდ სასიამოვნოდ მოსასმენი მოარული ხმებია“.**

მთავარმა პროკურორმა ჟურნალისტებს ისიც განუცხადა, რომ ხმები ზურაბ ჟვანიას საქმის გახსნის შესახებ, სიცრუეა. პრესკონფერენციაზე **არჩილ კბილაშვილმა** „ვერსიის“ კითხვებსაც უპასუხა:

— შესავალ სიტყვაში აღნიშნეთ, რომ ბედუკაძემ კადრების გამოქვეყნება 2011 წლის სექტემბერში გადაწყვიტა. გამოძიებამ უკვე დაადგინა, რატომ ინახებოდა დანაშაულის ამსახველი ვიდეომასალა ერთი წლის განმავლობაში და აღიძრა თუ არა საქმე იმ პირების წინააღმდეგ, რომლებმაც ვიდეომასალის დამალვით, ფაქტობრივად, უმძიმეს დანაშაულს ხელი დააფარეს?

— გამოძიებით დადგინდა, რომ, როცა ბედუკაძემ ვინმე ლომიას აღნიშნული კადრები გადასცა, მაშინათვე დაიწყეს ფიქრი საქართველოს დატოვების შესახებ, რადგან ბუნებრივია, ბედუკაძის პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა აუცილებელი გახდა. მოგვიანებით გადაწყდა, რომ ლომიას კადრები ჟურნალისტ ირმა ინაშვილისთვის უნდა მიეწოდებინა. რაც შეეხება სხვა პირების პასუხისმგებლობის საკითხს, მათი ქმედებაში დანაშაულებრივი გარემოებები არ იკვეთება, რადგან მათ ვიდეომასალა არ დაუმალავთ, განასაჯაროეს. კანონი კი არ განსაზღვრავს დროს, როდის უნდა გამოქვეყნდეს მასალა. თანაც ამ შემთხვევაში, ჩვენ ბედუკაძეზე ვსაუბრობთ, რომელმაც კადრების გავრცელების გადაწყვეტილება 2011 წელს გადაწყვიტა, ხოლო დანარჩენმა პირებმა რატომ, როდის ან რამდენად შესაფერის დროს გადაწყვიტეს მისი გამომზეურება, ეს სხვა საკითხია და კონკრეტულად მის საქმეს არ ეხება. ასე რომ, შესაძლოა, საზოგადოებაში ჩემ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აზრი ორად გაიყო და ორივე მათგანში ლოგიკაც არის, მაგრამ ეს პრემიერთან ურთიერთობაში შემაფერხებელი ვერ გახდება.

— თუმცა პრემიერმა იმაზეც მიანიშნა, რომ პროკურატურის მუშაობით კმაყოფილი სულაც არ არის, პირიქით, თქვენი უწყება სუსტია...

— იმის გამო, რომ პრემიერს არ დაუკონკრეტებია, რას გულისხმობდა, მისი განცხადების შესაფასებლად, ჩემ ვარაუდს გაგაცნობთ: წინა ხელისუფლების პირობებში პროკურატურა სადამსჯელო მანქანას წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო უკანონობას ჩადიოდა, ამიტომ ახლა საჭიროა, სადამსჯელო ორგანოდან პროკურატურა სამართალდამცავ სტრუქტურად ჩამოყალიბდეს. ეს კი დროში გაწელილი პროცესია. დიახ, რთულ გზას გავდივართ და შეცდომებსაც ვუშვებთ, თუმცა ამ ყველაფერს ობიექტური მიზეზები აქვს.

თანამშრომლობაზე უარის თქმის ან რაიმეზე პროტესტის გამოხატვის შემთხვევაში ხდებოდა პატიმართა მასობრივი დასჯა. რამდენიმე დღის განმავლობაში იკეტებოდა საკნების ფანჯრები და წყალი, დაფიქსირდა გაუპატიურების არაერთი ფაქტი, ე.წ. წითელ პარასკევს კი ყველა პატიმარი ხელკეტებით შეიარაღებული სად-ის თანამშრომლების კორიდორებს გადიოდა და ა.შ.“

ბედუკაძის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების მეორე არგუმენტად მთავარმა პროკურორმა ვიდეომასალების გავრცელების თარიღიც დაასახელა და აღნიშნა, რომ 2011 წელს, როცა მან კადრების გავრცელების გადაწყვეტილება მიიღო, პოლიტიკური ან ფინანსური გათვლა ვერ ექნებოდა: **„ლადო ბედუკაძემ ვიდეომასალები გასავრცელებლად 2011 წლის სექტემბერში ვინმე გიორგი ლორიას გადასცა. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ხელისუფლების შეცვლის პერსპექტივა არ ჩანს, რადგან ივანიშვილი პოლიტიკაში ერთი თვის შემდეგ, ოქტომბერში გამოჩნდა. მესამე არგუმენტია ისიც, რომ ბედუკაძის დანაშაულებრივი ქმედების ყველა მტკიცებულება თავად ბედუკაძემ წარმოადგინა. ადამიანმა „შაჰიდის ქამარი“ შემოიჭირა და საკუთარი თავის აფეთქების რისკზე წავიდა იმის ნაცვლად, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დარჩენილიყო, კარიერულ წინსვლაზე ეფიქრა და კადრების გავრცელებაზე სულაც არ ეფიქრა. მსჯელობის დროს ეს არგუმენტიც გაჩნდა“.** არგუმენტების ჩამოთვლის შემდეგ კი, არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, რომ პრემიერის თხოვნას ვერ გაიზიარებს და ვლადიმერ ბედუკაძის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების გადაწყვეტილებას აღარ დაუბრუნდება.: **„რაც შეეხება განაჩენის შეცვლას, მისი შეცვლის სურვილიც რომ მქონდეს, საპროცესო კა-**

ირაკლი ალასანია: „პირდაპირ გეტყვით, რაკი ეს წარსული ამბავია — მე პრემიერთან მქონდა ამ თემაზე საუბარი...“

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის მინისტრთან

ნინო კომახიძე
599-95-33-16

უწყება, რომლის მიმართ ნდობა რეიტინგებში მართლმადიდებლური ეკლესიის შემდეგ მოდის, არაერთ ცვლილებას გეგმავს. თავდაცვის სამინისტროში იმასაც აცხადებენ, რომ ყველა, სამოქალაქო, სამაჩაბლოს, აფხაზეთისა და აგვისტოს ომში დაღუპული ქართველი გმირების ოჯახები გაზრდილ პენსიას ორ ეტაპად, 2013 წლის ბოლოდან 2014 წლის ბოლომდე მიიღებენ — პირველ ეტაპზე კი თანხა 500 ლარით განისაზღვრა. ცნობილია ისიც, რომ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაღუპულ მეომართა ოჯახებს ერთჯერადად, 100 000 ლარი გადაეცემათ. თუმცა თავდაცვის სამინისტროსა და მის პირველ პირთან რამდენიმე კითხვა არსებობს და, დადებითი შეფასებებისა თუ ანონსების მიუხედავად, მაინც გაურკვეველია — გაგრძელდება თუ არა ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა ავღანეთის მისიაში, წყვეტს თუ არა საქართველო აქტიურ თანამშრომლობას ნატო-ს ჯარებთან, მართლა მუშაობენ თუ არა წამება-გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი პირები თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებად, რა შეთავაზება მიიღო პრემიერ-მინისტრისგან და აპირებს თუ არა გაპრემიერებას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ირაკლი ალასანია — „ვერსიის“ ამ და სხვა კითხვებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ექსკლუზიურად პასუხობს.

— პრემიერმა განაცხადა, რომ ლადო ბედუკაძის მიმართ გამოტანილი ლოიალური განაჩენი უნდა გადაიხედოს. ამ დროს ყველა იმაზე საუბრობს, როგორ ჩამოართვით ბედუკაძეს ხელი, როგორც გმირს, ხოლო ოპონენტების თქმით, თქვენ დამნაშავე წაახალისეთ.

— რაც შეეხება მართლმსაჯულებას, ამაში არასდროს ვერევი და არასდროს ვაკეთებ განცხადებას ამ საკითხზე. ჩემი და ბედუკაძის ფოტოზე კი გეტყვით, რომ იმ დღეს 26 მაისი იყო და რამდენიმე ათას ადამიანს ჩამოვართვი ხელი. სიმართლე გითხრათ, არც არასდროს მყავდა ლადო ბედუკაძე ნანახი. ეს იყო ჩვეულებრივი შეხვედრა მოქალაქეებთან, რომელიც ვიღაცას მოეწონა, ვიღაცას არ მოეწონა და ეს მათი გადასაწყვეტია.

— თქვენ არ იცოდით, ხელს ვის ართმევდით?

— პრაქტიკულად, არა, არა! მე ასე ვართმევ ხელს ყველას, ვინც მხვდება.

— და ბედუკაძემ ეს სურათი თავად გამოიყენა, მინისტრი ხელს მართმევსო?

— ალბათ, ჰო... არა უშავს.

— მაშინ მთელი პროცესი შევაფასოთ — ხალხის წამება-გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი ხვედელიანი გაამართლეს და მასთან ერთად, კიდევ 4 კაცი გამოუშვეს — ესაა „ოცნების“ დანაპირები?

— მიმდინარე გამოძიებებზე თავდაცვის მინისტრი არანაირ განცხადებებს არ აკეთებს! ზოგადად გიპასუხებთ, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა სასამართლო რეფორმის სწრაფად დასრულება და სისტემის პოლიტიკური ზეწოლისგან გათავისუფლებაა. აი, რეფორმა რომ დასრულდება, ბევრად რთული სამუშაო პროკურატურას ექნება, რადგან ბრალდების სწორად და შინაარსიანად წარმოდგენა მოუწევთ, წინა წლებისგან განსხვავებით.

— ახლა კმაყოფილი ხართ პროკურატურის მუშაობით?

— სიმართლე გითხრათ, იმდენად დატვირთული ვარ ჩვენი სამინისტროს ინფრასტრუქტურის გამართვით, საქართველოს შეიარაღებული ძალების უზრუნველყოფითა და ა.შ. ძალიან ცოტა დრო მრჩება, სხვა უწყებების პრობლემებზე საფიქრალად.

— იმ გათავისუფლებულთაგან, ვისზეც კომენტარს არ აკეთებთ, რამდენიმე მათგანი სამეგრელოში ნაპოვნი წამების კადრების გმირია — ეს ის იარაღი და სამალავებია, რაზეც თქვენ ჯერ კიდევ არჩევნებამდე საუბრობდით?

— სავარაუდოდ, ისაა, მაგრამ მოზომილი უნდა ვიყო, რადგან ეს ყველაფერი გამოძიების დასადასტურებელია. პროკურატურამ და შს სამინისტრომ გამოძიება აუცილებლად კომპეტენტურად უნდა წაიყვანონ, რადგან ჩემი გადმოსახედიდან ეს სწორედ ის შეიარაღებაა, რაც ჩემს მიერ მაშინ დასახელებულ ჯგუფებს უნდა გამოეყენებინათ. რაკი ეს განცხადება 1 წლის წინაც გავაკეთე და ამაზე პირადად მე და თქვენც არაერთხელ გვისაუბრია, არც დღეს უარვყოფ კავშირს. მახსოვს, ამ სამალავების შესახებ წერილობით მივმართეთ უშიშროების საბჭოს და გიგა ბოკერიასგან პასუხად ცინიზმი მივიღეთ, მაგრამ არ მინდა, გამოძიების დასრულებამდე, ამ თემაზე მეტი დამაჯერებლობით ვისაუბრო. არ მაქვს იმის ფუფუნება, ვივარაუდო... სამაგიეროდ, არის საკითხები, რითაც პირდაპირ გეტყვით, ძალიან კმაყოფილი ვარ — ესაა ჩვენი ინტეგრაციის დონე ნატო-ში. ცოტა ხნის წინ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრა იყო, სადაც თავდაცვისა და უსაფრთხოების ჩვენი რეფორმის ყველა ასპექტი განიხილეს, შემდეგ საქართველოში ნატო-ს გაერთიანებული შტაბების კომიტეტის ხელმძღვანელი ჩამოვიდა და უკვე არსებულ და სამომავლო რეფორმებს გაეცნო.

> **ამ ყველაფრის მერე, პირდაპირ გეტყვით — ქართველი სამხედროები უკვე ნატო-ში არიან! ისინი სასურველი პარტნიორები გახდნენ ამერიკისთვის, ბრიტანეთისთვის, დიახ — ქართული არმია, თავისი დიდი წვლილით, ნატო-ში უკვე შესულია, ახლა მათ პოლიტიკოსები უნდა წამოვეწიოთ! ჩვენი სამხედროების მომზადების დონე მეტია, ვიდრე ნატო-ს წევრი ქვეყნების ჯარებისა და ამასაც თამამად ვამბობ.**

— ამის პასუხად, რასმუსენის განცხადებას გაგახსენებთ — თქვენი ჯარისკაცები არ არიან სამიზნე და მათი ავღანეთში ყოფნა არ არის ნატო-ში საქართველოს შესვლის გარანტია...

— ჯერ ერთი, ნატო-ს გენერალური მდივანი აბსოლუტურად მართალია. ნატო არა მხოლოდ სამხედრო, არამედ დემოკრატიული ქვეყნების ალიანსია და საქართველო პოლიტიკური კულტურის, მართლმსაჯულების კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს. გარდა ამისა, სამშვიდობო მისიის ბოლომდე მიყვანის ვალდებულება გვაქვს.

— მისია 2014 წლის ბოლოს სრულდება. 2012 წლის 17 ოქტომბერს, როცა კაპრალი მინდია აბაშიძე გარდაიცვალა ავღანეთში, თქვით, 2014 წლიდან ჩვენი ჯარების გამოიყვანა დაიწყებაო. დღეს თუ იცით, რა ფორმით გრძელდება თანამშრომლობა საქართველო-ნატო-ს შორის?

— როცა ISAF-ის ფორმატში თავდაცვის მინისტრების შეხვედრა შედგა, მათ ჩვენი ხედვა გავაცანი და მოვითხოვე მათი გეგმა, როგორ ხედავდნენ ჩვენს მომავალ თანამშრომლობას.

> **ოქტომბერში ნატო-ს სარდლობა წარმოგვიდგენს ოპერატიულ გეგმას, სადაც მეტი სიცხადე იქნება: როგორ ვასრულებთ 2014 წელს ამ მისიას, როგორ გამოვიყვანთ ჩვენსა და ნატო-ს ძალებს ტერიტორიიდან და, კონკრეტულად, რა შინაარსის მისია დაიწყება 2014 წლის შემდეგ. ვვარაუდობ, ამ მისიის შემადგენელი იქნება ავღანური ძალების მხარდაჭერა ადგილზე, თუმცა საჰაერო თუ სხვა ტიპის, ესეც ოქტომბერში გაირკვევა.**

საპატიმროებში 9 349 ბრალდებული იხდის სასჯელს

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის 8 ივლისის მდგომარეობით, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სულ 9349 ბრალდებული და მსჯავრდებული იყო განთავსებული, რაც 2012 წლის 8 ივლისის მაჩვენებელთან (23322) შედარებით, 13973 (59.9%-ით) ერთეულით ნაკლებია.

ასევე, მიმდინარე წლის 8 ივლისს, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან 2 ბრალდებული გათავისუფლდა.

8 ივლისის მონაცემებითვე, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები სულ 8711 ბრალდებულმა და მსჯავრდებულმა დატოვა.

გათავისუფლებულთა შორის 175 პოლიტპატიმარია, 433 — მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 25 — არასრულწლოვანი.

„ნიუსპრესი“

თბილისის სამარშრუტო ტაქსებში ვიდეოკამერების დამონტაჟება დაიწყო

„კომერსანტის“ ინფორმაციით, „თბილისის მიკროავტობუსმა“ ყვითელ სამარშრუტო ტაქსებში ვიდეოკამერების დამონტაჟება დაიწყო.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, სიახლე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მგზავრთა რეალური ნაკადის დასადგენად ხორციელდება. მათი განმარტებით, მიკროავტობუსებში ვიდეოკამერების დამონტაჟება პერმანენტულ რეჟიმში მიმდინარეობს, რასაც მძღოლების პრეტენზიები არ მოჰყოლია.

მიკროავტობუსების კამერებით აღჭურვაზე მოლაპარაკებები მძღოლებთან „თბილისის მიკროავტობუსმა“ იანვრის ბოლოს მძღოლების გაფიცვის შემდეგ დაიწყო. კომპანიის განცხადებით, სამარშრუტო ხაზებზე მგზავრთა ნაკადის დათვლა მიმდინარეობს, რაც ხაზების ინდივიდუალური სპეციფიკიდან გამომდინარე, მარშრუტზე მოძრაობის გადასახადის გადახედვას გულისხმობს.

მძღოლებმა ერთკვირიანი გაფიცვა დღიური ნორმის შემცირებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით გამართეს.

„კომერსანტი“

საქართველოს მოქალაქეები უკრაინაში მასობრივად არალეგალურად მიდიან

უკრაინის სასაზღვრო სამსახურის ინფორმაციით, ქვეყანაში ქართველი არალეგალების რაოდენობა იზრდება. მათი ინფორმაციით, 6 თვის განმავლობაში ქართველი არალეგალების რაოდენობა, 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2-ჯერაა გაზრდილი.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, 9 ივლისს, 29 წლის მამაკაცი დააკავეს, რომელიც 4 წლის შვილთან ერთად უკრაინიდან რუსეთში გადასვლას ცდილობდა. აღსანიშნავია, რომ 8 ივლისს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ უკრაინამ ქართველი არალეგალების რამდენიმე ჯგუფი დააკავა, რომლებიც ქვეყნიდან ევროკავშირში შესვლას ცდილობდნენ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

Today's Zaman — საქართველო რთულ პოლიტიკურ მოთხოვნებზე გადადის

TODAY'S ZAMAN

„თავისუფალი სავიზო რეჟიმის დასასრული ირანელებისთვის: საქართველო რთულ პოლიტიკურ მოთხოვნებზე გადადის". ამ სათაურით აქვეყნებს თურქული გამოცემა Today's Zaman ზაურ შირიევის სტატიას.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, საქართველო-ირანის ურთიერთობის საკამათო განვითარება გასულ თვეს საერთაშორისო მედიის განხილვის საგანი იყო, სადაც აცხადებდნენ, რომ საქართველო ირიბად ეხმარებოდა ირანს დასავლური სანქციებისთვის თავის არიდებაში.

„მიუხედავად იმისა, რომ ასეთი განცხადებების გაკეთებისთვის რეალური სამხილი არ არსებობდა, Wall Street Journal-მა ივნისის სტატიაში დასავლეთი დაარწმუნა, რომ თბილისი ხელსაყრელ გარემოს სთავაზობს ირანელ ინვესტორებს", — წერს ზაურ შირიევი და აღნიშნავს, რომ სტატიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში, საქართველომ ირანთან უვიზო რეჟიმი გააუქმა.

თურქული გამოცემის სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ მოვლენების ასეთი განვითარება რამდენიმე კითხვას ბადებს – პირველ რიგში, როგორ იმოქმედებს ქართული მხარის ეს გადაწყვეტილება საქართველო-ირანის ორმხრივ ურთიერთობაზე, მეორე რიგში კი, რა როლი ექნება ამ ყველაფერში ისრაელს.

„პირველ რიგში, იმის თქმა, რომ ივანიშვილის მთავრობა ირიბად ეხმარება ირანს დასავლური სანქციებისთვის თავის არიდებაში არა პროამერიკული პოზიციების გატარებით და საქართველოში ირანელების ბიზნესინტერესების გაზრდის დახმარებით – სიცრუეა. დაუსაბუთებელია ის უამრავი ბრალდებაც, რომ თბილისი ირანელებს ქართულ ბანკებში ფულის გათეთრებით ეხმარება. სიმართლეა, რომ მას შემდეგ, რაც საქართველომ ირანთან თავისუფალი სავიზო რეჟიმი შემოიღო, საქართველოში ირანელ ტურისტთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. გასულ წელს მათმა რიცხვმა თითქმის 89 ათასი შეადგინა", — წერს ზაურ შირიევი.

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოს, რომლისთვის ტურისტული ინდუსტრია ქვეყნის შემოსავლის ძირითადი წყაროა, ამ ქმედებამ, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას.

„სავარაუდოდ, ეს ქმედება ქართულ მხარეს დასავლეთის ბრალდებების შეწყვეტის სურვილმა გადაადგმევინა ისევე, როგორც მედიაში ატეხილი პანიკის შეჩერებამ, რაც საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ხელისუფლების საჯარო იმიჯს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ თუ მომავალში სავიზო საკითხები პრობლემებს შექმნის, ირანმა საქართველოში არსებული რელიგიური კავშირებით, შესაძლოა, არეულობა გამოიწვიოს საქართველოში მცხოვრები შედარებით გაუნათლებელ მუსლიმებს შორის, რომლებიც მზად იქნებიან ამ პროვოკაციაში ჩასართავად", — წერს სტატიის ავტორი.

თურქული გამოცემის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, არსებობს მოსაზრება, რომ ირანთან უვიზო რეჟიმის გაუქმება, მომავალში ისრაელთან სამხედრო თანამშრომლობას შეუწყობს ხელს.

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ ირანთან თავისუფალი სავიზო რეჟიმის გაუქმებით საქართველომ, ერთი მხრივ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქვეყანა პროდასავლურ პოზიციებს არ თმობს. მეორე მხრივ, კი ამ მოვლენებს შიდაპოლიტიკური შედეგები აქვს.

„სამწუხაროდ, გასული წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას" შორის არსებულმა დაპირისპირებამ, გავლენა იქონია ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში, განსაკუთრებით დასავლეთში, სადაც საქართველოს ახალ ხელისუფლებას პრორუსულის ან ახალი ტერმინით რომ ვთქვათ, არა პროამერიკულის იარლიყი მიაკერეს. ამ ყოველივემ სერიოზულად შეარყია ქვეყნის იმიჯი, თუმცა ირანთან უვიზო რეჟიმის გაუქმებას პოზიტიური მხარეც აქვს – ქვეყნის ხელისუფლებას უდიდესი პასუხისმგებლობა დაეკისრება, გამოიძიოს ირანელთა ქმედებები საბანკო ბიზნესსექტორში. ამასთან, არსებობს გადაუდებელი საჭიროება, გამოიძიონ ირანის სახელმწიფოს მიერ ქართული რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება. უსაფრთხოების მხრივ, ეს აშკარად შემაშფოთებელია", — წერს ზაურ შირიევი.

„ინტერპრესნიუსი"

მინისტრთა კაბინეტი

ირაკლი ალასანია: „პირდაპირ გეტყვით, რაკი ეს წარსული ამბავია — მე პრემიერთან მქონდა ამ თემაზე საუბარი..."

მე-3 გვერდიდან

— ჩვენი მხარდაჭერა საბრძოლო იქნება თუ არა?

— ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობა არასაბრძოლო იქნება! თუმცა ჩვენ არ ვწყვეტთ თანამშრომლობას ნატო-ს ძალებსა და ავღანელებთან.

— რასმუსენის ვიზიტი პოლიტიკურად რომ შევაჯამოთ, მისი დადებითი შეფასება „ოცნებასა" და ნაციონალებს შორის არსებული დამოკიდებულებით შეშფოთებამ დაჩრდილა. იზიარებთ ამ შეფასებას?

— ჩემი მოსაზრება მე მთელ დელეგაციას გავაცანი — ვფიქრობ, არსებულ რეალობაში, პოლიტიკური სპექტრიც საკმაო სიმწიფეს აჩვენებს. პოლიტიკური თანაცხოვრების მაგალითია, თუნდაც ორი დღისწინანდელი შეხვედრა ბიძინა ივანიშვილსა და დავით ბაქრაძეს შორის. ვფიქრობ, სწორ გზაზე ვდგავართ, რადგან ყველაფერზე შეთანხმება არსად ხდება. საერთოდ, საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია პოლიტიკური კულტურის დემონსტრირება იქნება და ეს არჩევნები სამაგალითოდ ჩატარდება.

— რით ხართ კმაყოფილი, დაპატიმრებებით, 23 კაცის დაჭერა-გამოშვებით, ივანიშვილ-ბაქრაძის გარიგებით, რომ ნაციონალები პარლამენტში დაბრუნდებიან, სანაცვლოდ კი, „ოცნება" მათ დაკითხვაზე აღარ დაიბარებს?

— სასამართლო-საგამოძიებო მოქმედებების შეჩერება არ შეიძლება, ოღონდ, ვისურვებდი, წინასწარი პატიმრობებისგან, უმეტეს შემთხვევაში, თავი შეგვეკავებინა. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი სურვილი და ის თემაა, რაზეც დასავლელი პარტნიორებისგან ღია მინიშნებებს ყველა შეხვედრაზე ვიღებთ. რაც შეეხება პრემიერისა და ბაქრაძის შეხვედრას — ძალიან მნიშვნელოვანია, პოლიტიკური პროცესის პარლამენტში დაბრუნება. ამის პარალელურად, კანონზე მაღლა ვერც ერთი ყოფილი თუ მოქმედი მაღალჩინოსანი ვერ დადგება!

— ელისო კილაძის ბრალდება არსებობს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების წინააღმდეგ — ჩაჩიბაია, ცაავა, გოგენია და კალანდია, რომლებიც სამხედრო პოლიციაში მაღალ თანამდებობებზე მიგიღიათ, წამებაგაუპატიურებაში ყოფილან დამნაშავე — ისინი კანონზე მაღლა დადგნენ?

— ჯერ ერთი, სამინისტროში სამსახურის დაწყებას თავისი პროცედურები აქვს. აქ ყველაფერი მოწმდება, მათ შორის, ნასამართლეობაც, ამიტომ რაიმე ამდაგვარი რომ იყოს, ჩემთვის ცნობილი იქნებოდა. შესაძლოა, ზოგიერთი გვარი რაღაცას მეუბნება, ზოგიერთი — არა, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, დანიშვნის წინ, ყველამ გაიარა შემოწმება და ეს ხალხი ამ თანამდებობაზე არ დაინიშნებოდა. ჩვენს სამინისტროში ერთპიროვნული გადაწყვეტილებით აღარავინ ინიშნება: უმაღლეს თანამდებობაზე ხალხს შერჩევის საბჭო ნიშნავს!

— ცოტა ხნის წინ მითხარით, რომ ეს არჩევნები სამაგალითო იქნება — რატომ?

— იმიტომ, რომ ამის პოლიტიკური ნება არსებობს. თავად საზოგადოებაც არ დაუშვებს ფუნდამენტურ დარღვევებს. და მესამე — ჩვენი კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი შეუდარებლად კარგია, იგი საუკეთესოა დანარჩენებს შორის.

— დავით ბაქრაძე, ნინო ბურჯანაძე, სალომე ზურაბიშვილი და სხვები, მის კონკურენტებად არ მიგაჩნიათ?

— დარწმუნებული ვარ, მარგველაშვილი მოიგებს, რადგან საზოგადოებას ახალ პოლიტიკურ სახეზე აქვს მოთხოვნა. ბაქრაძესაც აქვს თავისი დადებითი მხარეები, მაგრამ აქვს პოლიტიკურად მძიმე წარსულიც. მას არ აქვს შანსი, ჩვენს კანდიდატს სერიოზული კონკურენცია გაუწიოს. „ოცნების" ამბიცია ახლა ისაა, რომ ეს არჩევნები, მართლაც, სამაგალითო იყოს, თორემ გიორგი მარგველაშვილის გამარჯვებაში ეჭვი არავის გვეპარება. ყველანი კონკურენტები არიან და მე მათ ყველას ერთ დონეზე ვაფასებ. პროცენტებსაც არავის დავუწერ, ეს ჩემი საქმე არაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ არჩევნებს მარგველაშვილი დამაჯერებელი გამარჯვებით დაასრულებს.

— ირაკლი ალასანიას ჯერ „ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატად ველოდით, შემდეგ მომავალ პრემიერ-მინისტრად — მიიღეთ თუ არა ეს შეთავაზება პრემიერისგან და ბოლო დროს რატომ ჩაანაცვლა თქვენი კანდიდატურა თეა წულუკიანმა?

> **— პირდაპირ გეტყვით, რაკი ეს წარსული ამბავია — მე პრემიერთან მქონდა ამ თემაზე საუბარი და მაშინვე მხარი დავუჭირე გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურას. იმაზე ღირსეულ საქმედ, რასაც ახლა ვაკეთებ, სხვა არაფერი წარმომიდგენია. მინდა, თავდაცვის უწყებაში დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანო, ამიტომ ჩანასახშივე გამორიცხული იყო, „ოცნების" კანდიდატი ვყოფილიყავი. თუმცა ამაზე ღიად არ გვიმსჯელია, ვიდრე მარგველაშვილის კანდიდატურაზე არ შევთანხმდით. რაც შეეხება პრემიერობის საკითხს — საქართველოს ჰყავს პრემიერი, რომელმაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე პასუხისმგებლობა აიღო, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ჯერჯერობით, რაიმე ცვლილებაზე საუბარი ნაადრევია.**

— ის თავად საუბრობს ამაზე.

— ჯერ ეს საკითხი არც დამდგარა, არც განხილულა, ამიტომ ერთიანი გუნდი ვმუშაობთ საერთო პოლიტიკის შესრულებაზე. შესაბამისად, ჩემი და წულუკიანის კანდიდატურებს რაც შეეხება, საუბარი არც ამაზე ყოფილა.

მეზღვაურის წიგნაკისა და სერტიფიკატების საფასური განახევრდება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე პირობების დამტკიცების შესახებ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 15 აპრილის ბრძანებაში ცვლილებები შედის.

ცვლილების საფუძველზე ქართველ მეზღვაურთათვის მეზღვაურის წიგნაკისა და სერტიფიკატების საფასური განახევრდება. ასევე, საზღვაო უმაღლესი სასწავლებლების ქართველი სტუდენტები, რომლებიც საზღვაო პრაქტიკის გავლის მიზნით სერტიფიცირებას გაივლიან, ყველა სახის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლდებიან.

დღემდე არსებული ტარიფების თანახმად, მეზღვაურის წიგნაკის გაცემა 95 ლარი ღირდა, გემბანის რიგითის, ბოცმანის, სამანქანო განყოფილების რიგითის, დოკერმანის, ხარატის, გემის მზარეულის, დამხმარე პერსონალის სერტიფიკატის — 130 ლარი, ხოლო, გემის მართვის დონეზე პასუხისმგებელი უფროსი სამეთაურო შემადგენლობის კომპეტენციის სერტიფიკატის გაცემა ვადის გაგრძელების მიზნით - 660 ლარი.

ეს იმ საფასურთა ჩამონათვალის ნაწილია, რომელიც ცვლილების შედეგად განახევრდება.

„ნიუსპრესი"

„პეგასუსმა" ავიაბილეთები გააიაფა

ქართულ ავიაბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის გამო „პეგასუსმა" ავიაბილეთებზე ფასი შეამცირა. როგორც რადიო „კომერსანტთან" „პეგასუსის" ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი აცხადებს, ზაფხულის სეზონზე მომხმარებელს ავიაბილეთებს 5%-იანი ფასდაკლებით სთავაზობს.

ლევან ელიზბარაშვილის თქმით, კომპანიას მგზავრთა გაზრდილი ნაკადის გამო მიმართულებების დამატება მოუხდა და ფრენებს ყოველდღიურ რეჟიმში, სტამბოლის გავლით, ევროპის 54 ქალაქში ახორციელებს.

ელიზბარაშვილის თქმითვე, „პეგასუსი" ესპანური ავიაკომპანია „რეჰფეს" პარტნიორი გახდა, რომელიც ფრენებს ბარსელონისა და ათენის მიმართულებით ასრულებს. ბილეთის ფასი ბარსელონას მიმართულებით 246 ევროდან, ხოლო ათენის მიმართულებით 129 ევროდან იწყება. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ბაზარზე ახალი ავიაკომპანიის შემოყვანასთან დაკავშირებითაც, რომლის დასახელება მოლაპარაკებების დასრულებამდე არ ხმაურდება.

„კომერსანტი"

„ეს ჩემი პოზიციაა, რომელსაც პირველად ახლა თქვენთან ვაჟღერებ და ჯერ პარტიისთვის არ შემითავაზებია!“

აკაკი ბობოხიძე საკაშვილისა და ყველა იმ პირის გადადგომას ითხოვს, ვინც პარტიის წევრები იყვნენ და, პარალელურად, მაღალ პოლიტიკურ თანამდებობას იკავებდნენ

ეროსუდან შელია
557-100-768

ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში ბოიკოტს წყვეტს — ბიძინა ივანიშვილისა და დავით ბაქრაძის შეხვედრის შემდეგ, ორი პოლიტიკური ძალა თამაშის ახალ წესებზე შეთანხმდა. რა გარიგება შედგა ბიძინა ივანიშვილის ურეკის რეზიდენციაში და რატომ ითხოვს ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობიდან მიხეილ სააკაშვილის გადადგომას, „ვერსია“ საპარლამენტო უმცირესობის წევრს აკაკი ბობოხიძეს ესაუბრა.

— როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილი თანდათან რწმუნდება, რომ ქვეყანაში ოპოზიციის არსებობა მის პირად სურვილზე დამოკიდებული სულაც არ არის. პოლიტიკურ ასპარეზზე რეალური ოპოზიციის არსებობა, საზოგადოებასთან ერთად, პირველ რიგში, ხელისუფლებას სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მმართველი გუნდი ნაციონალური მოძრაობის მიერ დაშვებულ შეცდომებს აუცილებლად გაიმეორებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოალიციასა და ნაციონალებს შორის გარიგება დაიდო, ჩვენ, უბრალოდ, კიდევ ერთხელ შევთანხმდით, რომ პოლიტიკური ამნისტია არჩევნების შემდეგ მალევე გამოცხადდა. ვინ რამდენით დააფინანსა ნაციონალური მოძრაობა არჩევნებამდე, ეს თემა დიდი ხანია დახურულია.

— დახურულ შეხვედრაზე, პრემიერსა და დავით ბაქრაძეს შორის გარიგება ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილი დანაშაულის ამნისტირების შესახებაც დაიდო?

— თუ ნაციონალური მოძრაობის წევრების დასაჭერად იურიდიული საფუძველი არსებობს, ბუნებრივია, გვესმის, რომ პოლიტიკური თანამდებობა ხელშეუხებლობის გარანტიას არავის ანიჭებს. ჩვენ მხოლოდ დაკავების ფორმებზე გვაქვს პრეტენზია — რა საჭიროა ვანო მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა ან მერიის თანამშრომლების მოწმის სტატუსით დაჭერა, შემდეგ გათავისუფლება და რამდენიმე საათში მათი უკან საპატიმროში დაბრუნება. კი, ბატონო, მიუსაჯონ დამნაშავეებს პატიმრობა, მაგრამ ეს ყველაფერი კანონის სრული დაცვით უნდა განხორციელდეს.

ბიძინა ივანიშვილი ხომ ღიად გვეუბნებოდა, თუ ნაციონალური მოძრაობა რიტორიკას არ შეწყვეტს, დაკავებები გაგრძელდებაო — აი, სწორედ ეს ნიშნავს პოლიტიკურ დევნას. თანაც მაინტერესებს, იმ დეპუტატებისა თუ ყოფილ მაღალჩინოსნების მიმართ, რომლებიც ოპოზიციიდან ხელისუფლების მხარეს გადაბარგდნენ, რატომ არავის უჩნდება კითხვები? კარგი იქნება, თუ პროკურატურა დაინტერესდება, როგორ აგვარებენ ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წარმომადგენლები ფინანსურ პრობლემებს!

— მინიშნებით რატომ საუბრობთ, თუ რეალურად გაქვთ მსგავსი ფაქტები, გაასაჯაროეთ.

— მსგავს ფაქტებს მე არ უნდა ვაჟღერებდე, პროკურატურა უნდა იძიებდეს, მაგრამ ეს ის უწყებაა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი აბსოლუტურად უკანონო გადაწყვეტილების მიღებას სთხოვს. ბედუკაძის საქმეზე განაჩენი უკვე გამოტანილია და მისი შეცვლის მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ კანონს არღვევ.

— ახლა ბედუკაძის დამცველიც გახდით?

— ბედუკაძის დამცველი კი არ ვარ, პირიქით, პროკურატურის მიმართ კითხვა მიჩნდება —

რატომ გაუფორმეს ლადო ბედუკაძეს საპროცესო შეთანხმება ისე, რომ სასტიკი წამების შემკვეთები ოფიციალურად არ დაასახელებინეს? პირადად ჩემთვის, პასუხი უკვე ცნობილია, ხელისუფლებას დანაშაულის კონკრეტიზაცია არ აწყობდა, რადგან თუ დამტკიცდებოდა, რომ მმართველი გუნდის მხრიდან ადამიანების წამების ორგანიზატორი არ არსებობდა, ნაციონალური მოძრაობის მიერ შექმნილ სისტემურ დანაშაულზე ხელისუფლება დღეს ვერ ილაპარაკებდა.

— თქვენ ვერ გრძნობთ პასუხისმგებლობას, თუნდაც მორალურს, როცა ირკვევა, რომ თქვენი ხელისუფლების პერიოდში, მსგავსი დანაშაული ხდებოდა?

— რა თქმა უნდა, ჩემ წილ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, მაგრამ არ მესმის, იურიდიულად როგორ უნდა ვაგოთ ამ ყველაფერზე პასუხი? მაშინ კანონში შევიტანოთ ცვლილება, რომ მინისტრი, ინფორმირებულია თუ არა უკანონობის შესახებ, მის უწყებაში აღმოჩენილ ყველა დარღვევაზე პასუხისმგებელია. პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, პირადად მე, მართლაც, ვგრძნობ, ამიტომ ვფიქრობ, რომ ყველა ის პირი, რომლებიც პარტიის წევრები იყვნენ და პარალელურად, მაღალ პოლიტიკურ თანამდებობას იკავებდნენ, ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელის პოსტიდან უნდა გადადგეს.

— ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილისა და პარტიის თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის გადადგომას ითხოვთ?

— დიახ, მიმაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობიდან საქართველოს პრეზიდენტი უნდა გადადგეს! ეს ჩემი პოზიციაა, რომელსაც პირველად ახლა თქვენთან ვაჟღერებ და ჯერ პარტიისთვის არ შემითავაზებია, თუმცა უახლოეს მომავალში, ამ წინადადებას თანაგუნდელებთან აუცილებლად დავაყენებ.

— და პარტიის ხელმძღვანელობის გადადგომა პოლიტიკური პასუხისმგებლობიდან რატომ გათავისუფლებთ?

— იმედი მაქვს, ჩემ წინადადებას სხვებიც იზიარებენ, რადგან პარტიას უნდა უხელმძღვანელონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც ეს შეცდომა არ დაუშვიათ ან უშუალო მონაწილეები არ არიან! საერთოდ, თავიდანვე შეცდომა იყო პარტიული და ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელების ერთმანეთთან ინტეგრირება. მსგავსი შემთხვევა არც ერთმა პარტიამ არ უნდა დაუშვას, რადგან პოლიტიკური და ძალისმიერი ბერკეტების ერთ ხელში თავმოყრა შეცდომებს უზრუნველყოფს. რა თქმა უნდა, ჩემ წინადადებაში, პირველ რიგში, საკუთარ თავს ვგულისხმობ, რადგან შეცდომები უნდა დამენახა, მაგრამ არ ან ვერ დავინახე.

— ანუ ნაციონალურ მოძრაობას მალე დატოვებთ?

— პარტიის დატოვებას არ ვაპირებ, პირიქით, ამ ტვირთის ტარება მთელი ცხოვრება მომიწევს. თუ პარტიას ახლა გავემიჯნები, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თავიდან ვერ ავიცილებ. პირიქით, მსგავსი გადაწყვეტილება ყველაზე დიდი უპასუხისმგებლობა იქნება ჩემი მხრიდან.

ნაციონალური მოძრაობა სწორედ ისეთმა ადამიანებმა დაღუპეს, რომლებიც ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლისთანავე, ბიძინა ივანიშვილთან გადაბარგდნენ. ისიც სამწუხაროა, რომ პარტია იმ ადამიანების რჩევებს არ ითვალისწინებდა, რომლებიც მიმდინარე პროცესების მიმართ კრიტიკულად იყვნენ განწყობილი, ყველაფერს მხოლოდ რამდენიმე ადამიანის აზრი წყვეტდა. თუ ადამიანებს პოლიტიკური პასუხისმგებლობა აწუხებდათ, „ქართულ ოცნებაში“ კი არ უნდა გადასულიყვნენ, სხვა ოპოზიციურ პარტია უნდა ეპოვათ.

— თუ არც პარტიას ტოვებთ და თქვენს მსგავსად, ბევრი მხოლოდ უკანა პლანზე გადავა, გამოდის, საპრეზიდენტო არჩევნების წინ დადგმულ მორიგ „ტრიუკს“ ამზადებთ, არა?

— მიმაჩნია, რომ ახლა ეს სწორი ნაბიჯი იქნება და ვეცდები, ჩემი წინადადება პარტიაში ბოლომდე გავიტანო. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, ძალიან კარგად ვიცი, ჩვენ კანდიდატს გამარჯვების შანსი ნაკლებად აქვს მიუხედავად იმისა, რომ პრაიმერში, დიდი ალბათობით, საკმაოდ ღირსეული ადამიანი — დავით ბაქრაძე გაიმარჯვებს. ამ ეტაპზე, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატობა უფრო ტვირთია, ვიდრე პლუსი, მაგრამ ყველას კარგად გვესმის, რომ პოლიტიკა დინამიური პროცესია. ჩვენ არსებობას არ შევწყვეტთ და, შედეგის მიუხედავად, წინსვლას გავაგრძელებთ. ის ადამიანები, რომლებიც არც ისე დიდი ხნის წინ, აბსოლუტურად უპერსპექტივო პოლიტიკოსებად მიგვაჩნდა, დღეს პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენს. ასე რომ, პოლიტიკაში არაფერი უნდა გამორიცხო. ისე, ამომრჩევლის ადგილას რომ ვიყო, ბიძინა ივანიშვილის განცხადებების შემდეგ, გიორგი მარგველაშვილს ხმას არ მივცემდი. ბიძინა ივანიშვილი დიდი ხნით ადრე აყენებდა შეურაცხყოფას პრეზიდენტის პოსტს, გაიხსენეთ, მისი სიტყვები — პრეზიდენტი იმდენად უმნიშვნელო ფიგურა იქნება, რომ ამ თანამდებობაზე ვახტანგ ხმალაძის დასახელებაც შეიძლებაო. ჩვენთვის პატივსაცემი გიორგი მარგველაშვილი, როგორც მინიმუმ, შეურაცხყოფილი უნდა იყოს, მისი კანდიდატურის დასახელებისგან. როგორც ჩანს, ჯერ არ დამდგარა ის დრო, როცა საზოგადოება ხელისუფლებას კრიტიკულად შეხედავს.

დავით უსუფაშვილი: „პარლამენტი ქუთაისში შემოდგომამდე დარჩება“

„პარლამენტი ქუთაისში შემოდგომამდე აუცილებლად დარჩება, რადგან თბილისის პარლამენტში სამუშაოები მაგ დრომდე არ დასრულდება“, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, პარლამენტი ძირითადად, თბილისში იქნება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქუთაისიდან პარლამენტი სამუდამოდ გადავა.

„საშემოდგომი სესიები გაიმართება ქუთაისში, ხოლო ამასობაში, თბილისში პარლამენტიც მოწესრიგდება და ტექნიკურად აღიჭურვება. რჩება მხოლოდ ერთი რამ მოსაწესრიგებელი, პარლამენტის ადგილმდებარეობად ქუთაისი არ იყოს მითითებული“, — განაცხადა უსუფაშვილმა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ნასვამ მძღოლებს მართვის უფლება, შესაძლოა, პირველივე შემთხვევისას ჩამოართვან

არაფხიზელ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მკაცრდება და სანქციები იზრდება.

შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების პროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

პროექტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში მართვის შემთხვევაში, მძღოლს 200 ლარით დაჯარიმების ნაცვლად, ერთი წლის ვადით მართვის უფლებას ჩამოართმევენ. თუკი ამას 18 წლის ასაკს მიუღწეველი, მართვის უფლების მქონე პირი გააკეთებს, მას მართვის უფლება ორი წლის ვადით ჩამოერთმევა, ნაცვლად ერთი წლისა, რასაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სადღეისოდ ითვალისწინებს.

გარდა ამისა, წინასწარი შეცნობით, სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის გადაცემა, 250-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 300 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.

აღნიშნული სამართალდარღვევების ჩადენა, როდესაც სატრანსპორტო საშუალების მძღოლს არა აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება ჩამორთმეული აქვს სხვა დარღვევებისთვის, გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის დაჯარიმებას 700 ლარის ოდენობით, ნაცვლად სადღეისოდ დაწესებული 500 ლარისა.

700 ლარით დაჯარიმდება პირი, რომელიც წინასწარი შეცნობით მანქანას არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირს კვლავ გადასცემს და ამ ქმედებას წლის განმავლობაში განმეორებით ჩაიდენს.

1000 ლარით ან 15-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობით დაისჯებიან პირები, რომლებსაც სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ჩამორთმეული აქვთ, ამ ვითარებაში სატრანსპორტო საშუალების არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო ერთხელ უკვე დაჯარიმდნენ, მაგრამ იგივე ქმედება კვლავ გაიმეორეს.

ამავე კანონპროექტის თანახმად, ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის შემთხვევაში, განსაკუთრებული გარემოებების გამოვლენისას, საქმის განმხილველ ორგანოს შეუძლია, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა 700-ლარიანი ჯარიმით შეცვალოს.

უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტში, ივნისის ბოლოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებების კიდევ ერთი პროექტის ინიცირება მოხდა, რომელიც საგზაო წესების დარღვევისთვის განსაზღვრული ჯარიმების ოდენობის, ასევე ჯარიმების დროულად გადაუხდელობის გამო გათვალისწინებული სანქციების შემცირებას, ხოლო მათი გადახდის ვადების გაზრდას ითვალისწინებს. აღნიშნული ინიციატივის ავტორია ფრაქცია „ქართული ოცნება — ეროვნული ფორუმის“ წევრი თემურ მაისურაძე.

„ინტერპრესნიუსი“

აზერბაიჯანულმა მხარემ ჰერეთის ეპისკოპოსს კახში სადღესასწაულო წირვის აღვლენის უფლება არ მისცა

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

მეტად უცნაური „გადახრები“ აქვს საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობრულ ურთიერთობას. სახელმწიფოთაშორის, ბიზნესურთიერთობებში თითქოს არანაირი პრობლემა არ არსებობს. ამ მხრივ, უფრო პირიქითაა ყველაფერი. საქმე საინგილოზე (ჰერეთზე) რომ მიდგება, აქ ბაქოს პოზიცია რადიკალურად, არამეგობრული დამოკიდებულებისკენ იცვლება. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ოფიციალურ თბილისს ათწლეულების განმავლობაში პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და „არაფერი მესმის, ვერაფერს ვხედავ“ პრინციპით აგრძელებს მოქმედებას. აზერბაიჯანული მხარის ბოლო გამოხდომა იმაში მდგომარეობს, რომ ჰერეთის ეპისკოპოსს და ადგილობრივ მრევლს მღვდელმოწამე მიხეილ ყულოშვილის ხსენების დღეს, კახში სადღესასწაულო წირვის ჩატარების უფლება არ მისცეს. ასევე, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებას“ საინგილოში ჩასვლის და ფილმის გადაღების ნებართვაზე უარი უთხრეს. ამ დროს, ქვემო ქართლში ბაქოური სამთავრობო თუ საზოგადოებრივი დელეგაციები სრულიად თავისუფლად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოძრაობენ. ნორმალურ ვითარებაში ასეც უნდა იყოს, მაგრამ ეს და სხვა მრავალი ელემენტარული უფლებები, საინგილოზე არა და არ ვრცელდება.

5 ივლისის, მორიგი უსიამოვნო ინციდენტის შემდეგ, საქართველოს საპატრიარქომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ასეთი განცხადება გაავრცელა:

„2012 წლის ხუთ ივლისს, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის განჩინებით, მღვდელი მიხეილ ყულოშვილი წმინდანად შეირაცხა და ეს დღე, მისი ხსენების დღედ დადგინდა. შესაბამისად, საქართველოს უახლესი ისტორიის ამ გამორჩეული პიროვნების, თავდადებული მამულიშვილისა და გულმხურვალე ქრისტიანის ხსენების დღე, წელს პირველად აღინიშნება. სამწუხარო ფაქტია, რომ აზერბაიჯანული მხარის ინიციატივით, ჰერეთში სადღესასწაულო წირვის აღვლენის შესაძლებლობა არ მიეცა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოს მელქისედეკს. ღვთისმსახურების ჩატარების უფლება არც ადგილობრივ სასულიერო პირს მიეცა. აზერბაიჯანის საელჩომ კი, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ გადამღებ ჯგუფს ადგილზე ჩასვლისა და ფილმის გადაღების ნებართვაზე უარი განუცხადა. ორ ქვეყანას შორის არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობის ფონზე, ეს ფაქტი სამწუხარო გაუგებრობაა, რაც მომავალში აღარ უნდა განმეორდეს. მით უფრო, რომ ქვემო ქართლის ნაწილობრივ აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონში, აზერბაიჯანიდან ჩამოსულ საერო თუ რელიგიურ დელეგაციებს არასოდეს შექმნიათ პრობლემა, რაც სრულიად ბუნებრივია“.

მოკლედ, ვიზიტი ჩავარდა და ეს ფაქტი პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რომ აზერბაიჯანული მხარე აღარავის ერიდება. საქართველოს ხელისუფლებიდან კი, როგორც ყოველთვის, ხმის ამომღები არავინაა. მსგავსი უპასუხისმგებლო პოლიტიკა კი ქვეყანას სადამდე მიიყვანს, ამის პროგნოზირება ძნელი არ უნდა იყოს. თუ მართლა მეგობარია და შენ ასეც ექცევი (მათ შორის ქვემო ქართლში), ხმა უნდა ამოიღო და მორიგ არაადეკვატურ საქციელზე მიუთითო, გამოსწორება მოსთხოვო. აბა, სხვაგვარად ეს „სამაგალითო ურთიერთობა“ სიტყვების რახარუხია, მეტი არაფერი. მამაოს საფლავზე პარაკლისის ჩატარების უფლებას რომ არ მისცემ იქ მცხოვრებ ადამიანებს, მეგობრული ქცევისა და დამოკიდებულების ჩარჩოებში როგორ ჯდება? ამაზე პასუხების გაცემა ისევ ხელისუფლებას მოუწევს.

ამ კონტექსტში, მოკლედ გთავაზობთ მღვდელმოწამე მიხეილ ყულოშვილის (1842-1917) ცხოვრებასა და მოღვაწეობას:

მღვდელმოწამე მიხეილ ყულოშვილი დაიბადა 1842 წელს სოფელ კახში, რაფიელ და საბედო ყულოშვილების ოჯახში. მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცევამდე, მუსლიმი იყო და მას გადაწყვეტილი ჰქონდა მუსლიმი სასულიერო პირი გამხდარიყო. 1858 წელს მართლმადიდებლურად მოინათლა და სიკვდილამდე უფლისა და ხალხის სამსახურში იყო. მისი ცხოვრების პერიოდში, საინგილოში განხორციელებული ყველა ქართული საქმე, პირდაპირ თუ ირიბად, მამა მიხეილ ყულოშვილის სახელს უკავშირდება. მღვდელი აქტიურად მონაწილეობდა ზაქათალის ოლქის სამრევლო სკოლის დაარსების, ეკლესიების აშენებისა და აღდგენის საქმეში.

1860 წელს „ოსეთის სასულიერო კომისია“ გაუქმდა და მის ბაზაზე „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება“ ჩამოყალიბდა, რომლის მიზანი კავკასიის გაქრისტიანება იყო. ამ ორგანიზაციამ კავკასია 12 სამისიონერო რაიონად – საბლაღოჩინოდ დაყო, რომელთა შორის ერთ-ერთი საინგილო იყო. საზოგადოების დაფინანსებით იქმნებოდა სამრევლოები და სკოლები. ეს ორგანიზაცია აქტიურად მუშაობდა აგრეთვე, ძველი ეკლესიების აშენება-აღდგენის საკითხზე. იმავე წელს, მიხეილ ყულოშვილმა კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებაში მუშაობა დაიწყო, ქრისტიანობის აქტიურ ქადაგებას ეწეოდა და ამ ორგანიზაციის სხვადასხვა დავალებებს ასრულებდა. 1870 წელს მიხეილ ყულოშვილი მღვდლად აკურთხეს და კახის წმინდა გიორგის ეკლესიაში გაამწესეს, სადაც 1894 წლამდე მსახურობდა. ეს ეკლესია 1855 წელს ძველი ეკლესიის ნანგრევებზე აშენდა. 1869 წელს კახის წმინდა გიორგის ეკლესიასთან დაარსდა სამრევლო სკოლა, რომელსაც კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება აფინანსებდა. 1888 წლის მონაცემებით, კახის სკოლაში 75 მოსწავლე სწავლობდა, მიხეილ ყულოშვილის ხელფასი კი წელიწადში 300 მანეთს შეადგენდა. 1870 წლიდან 1918 წლამდე მიხეილ ყულოშვილი საინგილოში მღვდელმსახურებას ეწეოდა და ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. იგი სამედიცინო საქმიანობასაც ეწეოდა. ხალხურ მედიცინაზე დაყრდნობით, მიხეილ ყულოშვილი წამლებს ამზადებდა და მოსახლეობას კურნავდა.

მღვდელი ასევე აქტიურად მონაწილეობდა 1888-1894 წლებში ქურმუხის ეკლესიის აღდგენის საქმეში. მამა მიხეილი ქურმუხის ეკლესიის მშენებლობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი იყო. ცნობილია, რომ კომიტეტის წევრებსა და მის თავმჯდომარეს, ბლაღოჩინ ბარნაბის შორის გარკვეული უთანხმოება არსებობდა. ვითარების გამოსაკვლევად ეგზარქოსმა პალადიმ საინგილოში გაგზავნა კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სასწავლებლების ინსპექტორი ბერმონაზონი ლეონიდი (შემდგომში, 1918-1921 წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი (ოქროპირიძე)). 1890 წლის 11 დეკემბერს ეგზარქოს პალადისთვის გაგზავნილ ვრცელ წერილში ინსპექტორი ლეონიდი მღვდელ მიხეილ ყულოშვილს დადებითად ახასიათებს და მას ღირსეულ პიროვნებას უწოდებს, რომელსაც ბლაღოჩინი ბარნაბოვი დაუმსახურებლად შეურაცხყოფას აყენებს.

1912 წელს მიხეილ ყულოშვილმა კახში, საყარულოს მთაზე, საკუთარი სახსრებით აღადგინა მერვე საუკუნეში ქართლის მეფე არჩილის მიერ აშენებული კასრის სამების ეკლესია, რომელიც 1922 წელს მუსავატელებმა დაარბიეს და დღეს მხოლოდ მისი ნანგრევებია შემორჩენილი. 1891 წელს კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ სოფელ თასმალოში წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესიის აშენება დაიწყო, რომელიც 1894 წლის 9 ოქტომბერს ეკურთხა. თასმალოს ეკლესია კახიდან 15 კმ-ის მოშორებით მდებარეობს. ეს ძველი ქართული სოფელი მთლიანად გარშემორტყმული იყო მუსლიმებით და ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა ძლიერ დისკრიმინაციას განიცდიდა. 1894 წელს მიხეილ ყულოშვილი თასმალოს ეკლესიის მღვდლად დანიშნეს. ახლადმოქცეულებს მუსლიმი სასულიერო პირები განსაკუთრებით ავიწროვებდნენ. მამა მიხეილი კვირაში ერთხელ ან ორჯერ დადიოდა თასმალოში და საჭიროების შემთხვევაში, იქ რჩებოდა. მამა მიხეილი ახლადმოქცეულებს ადგილობრივი მოლების რისხვისგან იცავდა, რაც მასსა და მოლებს შორის ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვას იწვევდა. აქტიური მისიონერული და საზოგადოებრივი საქმიანობის გამო მიხეილ ყულოშვილს ადგილობრივი მუსლიმი სასულიერო პირები უპირისპირდებოდნენ. მღვდელმოწამე მიხეილ ყულოშვილი ისლამის კარგი მცოდნე იყო და მოლებთან რელიგიურ საკითხებზე, მართლმადიდებელი მრევლის თანდასწრებით, ხშირად კამათობდა, რითაც ადგილობრივ მოლებს უფრო აღიზიანებდა და მუსლიმი სასულიერო პირები მის მიმართ აგრესიას არ მალავდნენ, თუმცა შურისძიებისათვის ხელსაყრელ დროს ეძებდნენ.



1918 წლის 28 მაისს აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ზაქათალის ოლქში სამხედრო ნაწილები დროულად არ ჩააყენა, რითაც აზერბაიჯანმა ისარგებლა და ოლქს დაეპატრონა. აზერბაიჯანის ხელისუფლების სათავეში ერთ-ერთი რადიკალური პროისლამური პარტია „მუსავატი“ მოვიდა. რეგიონებში განსაკუთრებით გააქტიურდნენ რადიკალური ისლამური ელემენტები, რომლებიც ქვეყნის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ცნობილ წარმომადგენლებზე ტერორს ახორციელებდნენ. მათ შორის ერთ-ერთი იყო სოფელ თასმალოს ეკლესიის მღვდელი მიხეილ ყულოშვილი, რომელიც წირვის დასრულების შემდეგ, მოტყუებით ტყეში მიიყვანეს და სასტიკად აწამეს, რის შედეგადაც გარდაიცვალა. მიხეილ ყულოშვილი ადგილობრივმა ქართველმა მოსახლეობამ კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში დიდი პატივით დაკრძალა. გადმოცემის თანახმად, მღვდლის მკვლელობით გამწარებულმა ადგილობრივმა ქართველმა მოსახლეობამ რამდენიმე მოლა მინდორში არსებულ უზარმაზარ ხეზე ჩამოკიდა. ეს ადგილი დღესაც ცნობილია და ამ მინდორს „მოლა ასანის“ (მოლების სახრჩობელა) მინდორს უწოდებენ.

ვერსიანიუსი

ბინებზე სამართლებრივი დავების დასრულებამდე გამოსახლება არ მოხდება

ბინებთან დაკავშირებით მიმდინარე სამართლებრივი დავების დასრულებამდე და სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე, ადამიანების გამოსახლება არ მოხდება.

შესაბამისი ცვლილება შს მინისტრმა „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებაში განახორციელა. აღნიშნულ დოკუმენტში ბოლო ცვლილება ირაკლი ღარიბაშვილმა 5 ივლისს შეიტანა. ამ თემასთან დაკავშირებით ბრძანებაში ცვლილება ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში სამჯერ შევიდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო გიორგობიანი განმარტავს, რომ სანამ სასამართლო დავები არ დასრულდება, ადამიანების სახლებიდან გამოსახლება არ მოხდება.

„ადრე სხვაგვარად ხდებოდა - დავების დასრულებას არ ელოდებოდნენ და ადამიანებს სახლიდან ასახლებდნენ. ძირითადად, ეს პრობლემები იპოთეკით დატვირთულ ბინებზე არსებობდა. ამის შემდეგ მინისტრმა ეს ბრძანებით შეცვალა, რომლის თანახმადაც, სანამ გამოძიება არ დასრულდებოდა, გამოსახლება არ მოხდებოდა. შემდეგ გარკვეული პრეტენზიები წამოვიდა და ბრძანება ისევ შეცვალა. ბოლოს მიხვდნენ, რომ ეს სწორი ფორმა არ იყო და ისევ ის ბრძანება ამოქმედდა, რომლის საფუძველზეც სასამართლოს დასრულებამდე ადამიანებს ვეღარ გამოასახლებენ“, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ნინო გიორგობიანმა.

„ინტერპრესნიუსი“

ნაციონალ დავით საყვარელიძის დედა პაციენტებს ვადაგასული წამლებით მკურნალობდა?!

აღიძვრება თუ არა სისხლის სამართლის საქმე მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილის დედის, მადონა ჭეიშვილის წინააღმდეგ და რატომ აჩუქა სააკაშვილმა იეზიდთა კავშირს 1 დარად მინის ნაკვეთი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა“, საჯარო ინფორმაციის გაცემის მიმართულებით, თბილისის მერიის, საკრებულოებისა და სახელმწიფო უწყებების კვლევა დაიწყო. მართალია, კვლევა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ სასწრაფო დახმარებასთან დაკავშირებით, საინტერესო დეტალები გამოიკვეთა — როდესაც სასწრაფო დახმარებას ნაციონალური მოძრაობის წევრის, დეპუტატ დავით საყვარელიძის დედა ხელმძღვანელობდა, „033“ ვადაგასულ მედიკამენტებს შედარებით იაფად ყიდულობდა და პაციენტებს ამით მკურნალობდნენ. ამასთან, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ ვრცელი ფინანსური ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც დეტალურადაა ასახული, თუ რომელი სახელმწიფო უწყებები აფინანსებდნენ საქართველოს საპატრიარქოს. აღსანიშნავია, რომ 2002-2012 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საპატრიარქო 200 000 000 ლარით დაფინანსდა. მეტიც, საპატრიარქო ფინანსდებოდა როგორც ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებიდან, ასევე — პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან. რაც მთავარია, სახელმწიფო უწყებები საპატრიარქოს სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადასცემდნენ მიწის ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებს. ბოლო 6 წლის განმავლობაში, მიხეილ სააკაშვილმა, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საპატრიარქოს 10 401 087 ლარი გამოუყო, საიდანაც ეკლესიებისთვის ავტომანქანების შესაძენად 2 170 290 ლარი დაიხარჯა.

ფინანსური დარღვევები „033“-ში

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრში“ აცხადებენ, რომ წლების განმავლობაში სასწრაფო დახმარება „033“ ვადაგასულ წამლებსა და მედიკამენტებს იყენებდა — მედიკამენტებს, საბაზრო ფასთან შედარებით, ნახევარ და მესამედ ფასად ყიდულობდა და ავადმყოფებს მკურნალობდა.

„სამოქალაქო ჩართულობის ცენტრში“ არ გამორიცხავენ, რომ ეს კვლევა სასამართლო პროცესის დაწყების საფუძველი გახდება. ორგანიზაცია დაინტერესებულია სასწრაფოს ყოფილი ხელმძღვანელის, მადონა ჭეიშვილის საქმიანობითაც, რომელიც საქართველოს ექსმთავარი პროკურორის, ზურაბ ადეიშვილის მოადგილისა და ნაციონალური მოძრაობის წევრის, ამჟამად დეპუტატ დავით საყვარელიძის დედაა. მადონა ჭეიშვილის ხელმძღვანელობის დროს რამდენიმე პროექტი განხორციელდა, რომლებზეც „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი“ კვლევას ახლაც ატარებს, მაგრამ სასწრაფო სამსახური ინფორმაციას არ გასცემს.

ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ როდესაც მადონა ჭეიშვილმა თანამდებობა დატოვა და ერთ-ერთი საავადმყოფოს ხელმძღვანელი გახდა, ყოფილი სამსახურიდან უწყების კუთვნილი ავტომობილი და მძღოლიც გაიყოლა. მეტიც, ორგანიზაციაში ეჭვობენ, რომ მადონა ჭეიშვილის ხელმძღვანელობის დროს, სასწრაფო დახმარება „033“-ში ფინანსური ხარვეზებიცაა დაფიქსირებული. ამ ინფორმაციას „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი“ ახლაც იკვლევს და გამორიცხული არაა, რომ კვლევის დასრულების შემდეგ, მასალები მთავარ პროკურატურას გადაუგზავნოს.

საპატრიარქომ ბიუჯეტიდან 200 000 000 ლარი მიიღო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა რელიგიური კონფესიების დაფინანსებასთან დაკავშირებული საინტერესო კვლევა გამოაქვეყნა. ვრცელი ანგარიშით, დაფინანსების მხრივ, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია ლიდერობს. სხვა კონფესიების დაფინანსებასთან დაკავშირებით კი „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ ოფიციალური ინფორმაციის მოძიება გაუჭირდა. მიუხედავად ამისა, კვლევის ავტორებს ხელთ აქვთ საჭირო დოკუმენტების ნუსხა, რომლითაც მტკიცდება, რომ სახელმწიფო სხვა რელიგიური კონფესიების მიმართ ნაკლებ ყურადღებას იჩენდა.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, 2002 წელს დადებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, **„ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: ნებაყოფლობითი შემოწირულობა, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები“.**

კვლევის მიხედვით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის შემოსავლის ძირითადი წყარო კერძო შემოწირულობები და სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მიღებული დაფინანსებაა. 2002 წლიდან დღემდე, საქართველოს ხელისუფლებამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს საპატრიარქოს 200 000 000 ლარი გამოუყო.

2002-2013 წლებში, ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს საპატრიარქოსათვის გამოყოფილმა პირდაპირმა დაფინანსებამ 160 672 200 ლარი შეადგინა. 2002 წელს, კონსტიტუციური შეთანხმების ხელმოწერისას, სამინისტრომ სამოციქულო ეკლესიას 857 600 ლარი გამოუყო.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის პარალელურად, ხელისუფლების მიერ საპატრიარქოს დაფინანსებაც იზრდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც დაფინანსება ორჯერ და სამჯერ გაიზარდა. კერძოდ, თუკი საპატრიარქოს დაფინანსება 2005 წელს 1 290 100 ლარს შეადგენდა, 2006-2007 წლებში 4 803 300 და 4 270 600 ლარი იყო, 2008 წელს კი 12 933 400 ლარს მიაღწია. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, 2009 წელს, საპატრიარქოს დაფინანსება კიდევ ორჯერ – 26 394 900 ლარამდე გაიზარდა.

მომდევნო წლებში, დაფინანსება ოდნავ შემცირდა, მაგალითად, 2011 წელს 24 391 700 ლარი იყო, 2012 წელს კი — 22 800 000 ლარი. ახალი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საპატრიარქოს დახმარების ბიუჯეტი კვლავ გაიზარდა და 2013 წელს 25 000 000 ლარი შეადგინა.

სარეზერვო ფონდებიდან მიღებული დაფინანსება

საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, 2006-2012 წლებში, სხვადასხვა ღონისძიების განხორციელების მიზნით, 8 388 200 ლარი დაიხარჯა. გარდა ამისა, ბოლო 6 წლის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საპატრიარქოს 10 401 087 ლარი გამოუყო, საიდანაც ეკლესიებისთვის ავტომანქანების შესაძენად 2 170 290 ლარი დაიხარჯა. 2008 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებამდე 2 დღით ადრე კი, სარეზერვო ფონდიდან საპატრიარქოს 1 700 000 ლარი გადაურიცხეს.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2009 წელს, ტელევიზია „ერთსულოვნებას“ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 400 000 ლარი გამოუყვეს. მთავრობის განკარგულების შესაბამისად, 2011-2012 წლებში, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ფინანსურმა დახმარებამ საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქიისათვის 600 000 ლარი შეადგინა.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან გადარიცხული თანხა

კვლევის ფარგლებში, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა, რომ 2002 წლიდან დღემდე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებმა საქართველოს საპატრიარქოსთვის 16 000 000 ლარი გამოყვეს. ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, მუნიციპალიტეტები ეპარქიებს ეხმარებიან, როგორც მცირე, ასევე – სოლიდური ფულადი სუბსიდიებით, აფინანსებენ სხვადასხვა ღონისძიებას, გადასცემენ მოძრავ და უძრავ ქონებას.

მაგალითად, ვანის მუნიციპალიტეტმა 2011-2012 წლებში, ადგილობრივ ეპარქიას 280 000 ლარი გამოუყო; 2013 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა – 90 000 ლარი; 2009 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტმა – 182 000 ლარი. 2010 წელს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა ჰერეთისა და ნეკრესის ეპარქიას – 31 805 ლარი;

დასასრული მე-8 გვერდზე

„საქართველოს ახალ მთავრობას სულელები ვგონივართ, მაგრამ სულელები არ ვართ“

ესტონეთის პრეზიდენტი თომას ილვესი საქართველოში ყოფილ მაღალჩინოსანთა დაკავებებს ეხმაურება და აცხადებს, „საქართველოს ახალ მთავრობას სულელები ვგონივართ, მაგრამ სულელები არ ვართ“. ამის შესახებ ილვესმა „კომერსანტთან“ ინტერვიუში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტის მოლოდინზე საუბრისას განაცხადა.

მან ისაუბრა იმაზე, არის თუ არა ყოფილი პრემიერის იულია ტიმოშენკოს საქმე შემაფერხებელი ფაქტორი უკრაინისთვის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების საქმეში.

„ტიმოშენკოს საქმე უკრაინაში არსებული სისტემის სიმბოლო გახდა. ეს უკრაინისთვის დიდი პოლიტიკური პრობლემაა. ევროკავშირში ბევრი ფიქრობს, რომ ტიმოშენკოს ბედი ლაკმუსის ქაღალდია უკრაინის დემოკრატიულ სტანდარტებთან შესატყვისობისა. ასეთი პრობლემა არ დგას მხოლოდ უკრაინაში, ვიცი, ბევრი ევროპული ქვეყანა თვალყურს ადევნებს, რა ხდება დღეს საქართველოში და აქვს თუ არა ახალი ხელისუფლების მხრიდან ადგილი ოპონენტებზე შურისძიებას? ისინი ამბობენ, რომ საქმე წმინდა სამართლებრივ პროცესთან გვაქვს, მაგრამ ეს ყველაფერი ცოტა ცუდად გამოიყურება. თავის დროზე, ხადარკოვსკის საქმემ საბოლოოდ გაწყვიტა იმედი რუსეთში სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით. აქამდე მიიყვანა ტიმოშენკოს საქმემ უკრაინა. ახლა საქართველოს ახალი ხელისუფლება აპატიმრებს ოპოზიციონერ საპრეზიდენტო კანდიდატს, ხოლო ჩვენ გვეუბნებიან, რომ ის არანაირი კანდიდატიც არ არის, რადგან დარეგისტრირება ვერ მოასწრო. როგორც ჩანს, ისინი სულელებად გვთვლიან, მაგრამ ჩვენ არ ვართ სულელები“, — განაცხადა ილვესმა.

„პირველი“

„ის რეფორმები, რაც გატარდა, საკმარისი არ არის, რადგან სისტემა დაჭაობებული იყო და ამას გაჯანსაღება სჭირდება“

შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კონკურსის წესით შერჩეულ იმ 30 სტუდენტს შეხვდა, რომლებიც გამოსაცდელი ვადით შსს-ს სხვადასხვა დანაყოფებში დასაქმდებიან და განაცხადა, რომ გატარებული რეფორმები არასაკმარისია და სისტემას გაჯანსაღება სჭირდება.

„მას შემდეგ 5-6 თვე გავიდა, დაახლოებით, 500 სტუდენტის CV იქნა გამოგზავნილი და შევისწავლეთ. მათგან 30 სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტში, სამმართველოში დასაქმდება იმისდა მიხედვით, ვის რა ინტერესი გაქვთ. კადრების სამმართველო, ჩემი დავალებით, ინდივიდუალურად განიხილავს თითოეულის საკითხს, გასაუბრებაზე შევარჩევთ უკვე თქვენთვის სასურველ დეპარტამენტსა თუ სამმართველოს. თქვენთან გასაუბრების საფუძველზე ჩვენ აზრი ჩამოგვიყალიბდება, ვინ, სად უფრო ეფექტური იქნებით. ეს მუშაობაშიც გამოიკვეთება. 3-თვიანი ვადა გექნებათ გამოსაცდელი, ამ პერიოდში უფრო გამოავლენთ თქვენ პოტენციალს. მინდა, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ. ძალიან კარგია, ასე უნდა მოხდეს გაჯანსაღება და გაახალგაზრდავება სისტემის. ის რეფორმები, რაც გავატარეთ, საკმარისი არ არის, რადგან, სამწუხაროდ, სისტემა მაინც დაჭაობებული იყო და ამას გაჯანსაღება, თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანების, სტუდენტების შემოსვლა სჭირდება. დანარჩენი 130-110 სტუდენტი სტაჟირებას გაივლის ჩვენთან და მათგან ვნახავთ, ვის ექნება პოტენციალი, ჩვენთან, სამინისტროში მუშაობა გააგრძელოს. დიდი დრო მოვანდომეთ, მაგრამ, ვფიქრობ, კარგი არჩევანი გავაკეთეთ. კადრებს სიფრთხილით შერჩევა სჭირდება. დიდ ყურადღებას ვუთმობ ადამიანების შერჩევას და მით უმეტეს, ისეთ საპასუხისმგებლო სამინისტროში, როგორიც შს სამინისტროა, მომავალი თაობა ზედმიწევნით უნდა იყოს შერჩეული. ბევრი, ვინც უკვე მუშაობს, შეიძლება გადასახედი იყო, მაგრამ მათი გაზრდა უფრო რთული იქნება, ამიტომ ჩემთვის უფრო პრიორიტეტულია, უპირატესობა მომავალ თაობას მიენიჭოს. ძალიან საინტერესოა ჩვენი სამინისტრო. ჩემი საქმიანობა ძალიან შემიყვარდა და იმედი მაქვს, თქვენც ასევე შეგიყვარდებათ. მუშაობა კარგია და ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ როცა იცი, რას ემსახურები, ორმაგად და ათმაგად საინტერესოს ხდის საქმიანობას. ცხოვრების ნაწილი ხდება. რას გირჩევდით? გირჩევდით, ბოლომდე დაიხარჯოთ, თავი არ დაზოგოთ, რადგან გაქვთ უნიკალური შანსი, რეალურად დემოკრატიული სახელმწიფო ავაშენოთ“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

„ვერსიანიუსი“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„სამართლიანობა პროფესიული განათლების სფეროშიც აღსადგენია“

ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, პროფესიული განათლების სისტემას ყურადღება ნაკლებად ექცეოდა. ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულების შედეგია, რომ ქვეყანაში მოქმედი 78 პროფსასწავლებლიდან დღეს მხოლოდ 18 ფუნქციონირებს. მთელი რეგიონებია, სადაც კოლეჯები საერთოდ არ არსებობს. დარგი სულს ღაფავს და პროფესიონალები, ექსპერტები მისი გადარჩენისთვის იბრძვიან. პროფესიული განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო პერსპექტივებზე დარგის პროფკავშირის ხელმძღვანელს დენის დავითაშვილს ვესაუბრებით.

დენის დავითაშვილი პრემიერ-მინისტრს პროფესიული განათლების საკითხით დაინტერესებას სთხოვს

— ბოლო ათი წლის განმავლობაში, წინა ხელისუფლება პროფესიული განათლების სისტემას მიზანმიმართულად ანგრევდა. 78 კოლეჯიდან 18 ფუნქციონირებს. 2010-11 წლებში, მინისტრ შაშკინის დროს, ძალიან დაბალი დონის პროფესიული სტანდარტები და საგანმანათლებლო პროგრამები იყო შემუშავებული. ევროპული მიდგომაა, რომ საცხოვრებელთან ხელმისაწვდომი პროფესიული განათლების მიღების საშუალება იყოს. ოცი წლის წინ, თითო რაიონში ორ-ორი კოლეჯი ფუნქციონირებდა. დღეს მთელი რეგიონებია, სადაც არც ერთი კოლეჯი არ გვხვდება. მაგალითად, ასეთია მცხეთა-მთიანეთის რეგიონი. იმერეთში, გურიაში და ა.შ. თითო პროფსასწავლებელია. თბილისში 28 კოლეჯიდან 4 დარჩა. ამავე დროს იცით, რომ მშენებლობას, მათ შორის გზის დაგებას, ტრანსპორტს, რკინიგზას, ტურიზმს, სოფლის მეურნეობას, მომსახურების სფეროს დღესაც უამრავი სპეციალისტი სჭირდება. ბოლო 20 წელია, ინვესტორებსა და დამსაქმებლებს უცხოელები ჩამოჰყავთ და ასაქმებენ. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, ცხრა კლასის შემდეგ, სწავლისა და სამუშაოს გარეშე რჩება. საქართველო აგრარული ქვეყანაა და თითოეულ რეგიონს სჭირდება კოლეჯი, სადაც ასწავლიან ტრაქტორის მემანქანეებს, მევენახეებს, მეფუტკრეებს, მებოსტნეებს, მეხილეებს და ა.შ. წელს საჭირო გახდა 900 მექანიზატორი, ტრაქტორისტი და პრობლემა გახდა მათი მომზადება. თავი ძლივსძლივობით მოაბეს დონორების და ისევ ჩვენში დარჩენილი კოლეჯების მწირი შესაძლებლობებით.

— კადრების პრობლემა რამდენად მტკივნეულია ამ სფეროში?

— ბოლო 10 წლის განმავლობაში, არავის უზრუნია პროფესიული სასწავლებლის პედაგოგების, საწარმოო სწავლების ოსტატების მომზადებაზე. ძალიან დაბალი დონისაა სამინისტროში დაკომპლექტებული პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი. არც ერთ იქაურ თანამშრომელს, ერთი დღე პროფესიულ კოლეჯში არ უმუშავია. ძალზედ დაბალია სოციალური პარტნიორობა სახელმწიფოს, პროფესიულ კავშირსა და დამსაქმებელს შორის. ნაკლებად შემოდის კონტაქტში სამინისტრო.

ამაზე მეტყველებს კანონპროექტი, რომელიც მესამე მოსმენით მიიღო პარლამენტმა, რითაც აბსურდული და ანეკდოტური მუხლები არის მიღებული. მსოფლიოსა და ევროპის არც ერთი ქვეყანა ასეთ რამეს არ იცნობს, რომ პროფესიულ კოლეჯში შესასვლელ პირს პროფესიულ გამოცდას, ტესტირებას აბარებინებდნენ. ვინც ვერ ჩააბარებს, ეუბნებიან, ფული გადაიხადეო. დღეს საქართველოში 90% სოციალურად დაუცველი ოჯახებიდანაა და ისინი, რასაკვირველია, ვერ გადაიხდიან. ეს იმით დამთავრდება, რომ სრულად ვერ დაკომპლექტება ცალკეული ჯგუფები და ვერც ის კოლეჯები.

კიდევ ერთი პარადოქსული მუხლი — წინათ არსებული ბარიერით, მესამე საფეხურიდან მეოთხეზე რომ გადასულიყო სტუდენტი, ან პირდაპირ მეოთხე-მეხუთე პროფესიულ საფეხურზე დამჯდარიყო, უნდა ჩაებარებინა ზოგადი უნარები. მისი ჩაბარების შესაძლებლობა კი მათ აქვთ, ვისაც სრული საშუალო განათლება აქვს მიღებული. ახლა ეს ბარიერი მოხსნილია და ანეკდოტური სიტუაციაა შექმნილი. კერძოდ, 14 წლის ცხრაკლასდამთავრებულს შეუძლია მივიდეს და ჩაირიცხოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს. ისწავლის თუ ვერა, ეს კიდევ სხვა საკითხია; აიღოს დიპლომი, დაუბრუნდეს პროფესიულ კოლეჯს და პირველ-მეორე-მესამე საფეხურის ჯგუფებში მასწავლებლად დანიშვნა მოითხოვოს 15-16 წლის ახალგაზრდამ.

— ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, რაიმე წინსვლა თუ შეინიშნება ამ სფეროში?

— ჩვენი დაბეჯითებითი მოთხოვნის საფუძველზე, მინისტრმა თებერვალში შექმნა კომისია, რომელიც წინა წლებში უსამართლობით გაუქმებული პროფესიული კოლეჯების ახლად დაფუძნებას ითვალისწინებს. სამართლიანობა არ არის აღდგენილი და უახლოეს მომავალში, მინისტრი კოლეჯებს თავისი ბრძანებით დააფუძნებს. შემოღებულია დაფინანსების ახალი წესი. ათი წლის წინათ, გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები მხოლოდ საჯარო კოლეჯებს ხმარდებოდა. ახლა, სამინისტროს და მთავრობას შესაძლებლობა ექნება, დააფინანსოს ყველა ის სასწავლო დაწესებულება, რომელიც სახელმწიფოს მიერაა დაფუძნებული და პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს. გამოყოფილი თანხა კი საკმარისი არ იყო დღეს არსებული 18 კოლეჯისთვის, არათუ მათთვის, რომლების აღდგენაც უნდა დაიწყოს.

— არსებული პრობლემების გადაჭრის კონკრეტულ გზებზე რას იტყვით?

— ამ საკითხებს სათავეში უნდა ჩაუდგეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ძალიან კარგად იცის პროფესიული განათლების მნიშვნელობა. კონკრეტული პროფესიების მინიჭების გარდა, პროფესიული კოლეჯი ძალიან დიდი მნიშვნელობის სოციალურ პროგრამებს და ამოცანებს ახორციელებს. ახალგაზრდობა 9 ან 12 კლასის შემდეგ, ვინც სწავლასა და შრომაში ჩაბმული არ არის, მოდის სასწავლებლებში და პროფესიულ ცოდნას ეუფლება. მიწათმოქმედი ქვეყანა ვართ და რაიონში თითო კოლეჯი რომ გახსნილი იყოს, ძალიან დიდი დახმარება იქნება თითოეული ოჯახისთვის, სადაც ბაბუა და მამა უკვე მობერდნენ. არაფრით დაკავებული ახალგაზრდები სწორედ კოლეჯში მიიღებენ კონკრეტულ სპეციალობას და თუნდაც საკარმიდამო ნაკვეთებზე დასაქმდებიან. უპირველესად, საჭიროა პროფესიული განვითარების დეპარტამენტი გაძლიერდეს; იქ მიიყვანონ წამყვანი კოლეჯებიდან დირექტორები, მოადგილეები, მენეჯერები, ვინც იცის სასწავლო პროცესი და ურთიერთობა დამსაქმებლებთან. ბიძინა ივანიშვილმა ერთი მუშა-შეხვედრა უნდა მოაწყოს, მოიწვიოს ყველა დაინტერესებული მხარე, სამინისტრო, ბიზნესმენები იმისთვის, რომ მიმართულება მიეცეს, როგორ უნდა განვითარდეს პროფესიული განათლება; მუშაობაა საჭირო და მუშაობას კიდევ კონტროლი სჭირდება, კონტროლს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.

პრემიერი არის პროფესიული განათლების საბჭოს თავმჯდომარე. როგორც ჩანს, განათლების სამინისტრო აქამდე არ თხოვდა, რომ თვითონ ჩაეტარებინა სხდომა. მე ვთხოვ და მოვუწოდებ, გამონახოს დრო, რომ პროფესიულ კოლეჯებს, ექსპერტებს, სოციალურ პარტნიორებს, პროფკავშირებს, დამსაქმებლებს შეხვდეს. უმუშევრობის აღმოფხვრა, დასაქმება დამოკიდებულია იმაზე, როგორ იქნება გადაწყვეტილი ხარისხიანი პროფესიული განათლების მიცემის საკითხი ახალგაზრდებისთვის, ზრდასრული მოსახლეობისთვის.

ნაციონალ დავით საყვარელიძის დედა პაციენტებს ვადაგასული წამლებით მკურნალობდა?!

მე-7 გვერდიდან

2010 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტმა სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარედ მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისთვის 1 118 275 ლარი გამოყო; 2012 წელს, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტმა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის მშენებლობისთვის – 200 000 ლარი; 2012 წლის 1 ნოემბრამდე, ფოთის მერიამ ფოთის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის აღდგენა-რეკონსტრუქციისთვის 5 000 000 ლარი გამოყო, ხოლო 2012 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე – 550 000 ლარი.

გარდა ამისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული, ბათუმში, ბესიკისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების კვეთაზე მდებარე 1 740 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 ლარად გადასცა საქართველოს საპატრიარქოს. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ ეკლესიისთვის გამოყოფილი სუბსიდია თვეში, საშუალოდ, 6 000 ლარს შეადგენს.

კვლევით დადგინდა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მთელ რიგ შემთხვევებში, ფინანსურ დახმარებას არა საპატრიარქოს ან ადგილობრივ ეპარქიას, არამედ ფიზიკურ პირებს გამოუყოფდა, რომლებიც სასულიერო პირები არიან.

უფასოდ და 1 ლარად გადაცემული ქონება

საქართველოს მთავრობამ, საქართველოს საპატრიარქოს უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად – 1 ლარად არაერთხელ გადასცა მიწები, სკვერის ტერიტორიები თუ შენობა-ნაგებობები ქვეყნის მასშტაბით. 2007 წლის 30 დეკემბერს, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო ბურჯანაძემ ბრძანებულებას მოაწერა ხელი, რომლითაც საპატრიარქოს უსასყიდლოდ გადასცა რამდენიმე ჰექტარი ტყის ფონდის მართვა. ამასთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 1 ლარად საპატრიარქოს უძრავი ქონება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გადასცა. მაგალითად, 2008 წელს, პირდაპირი მიყიდვის წესით, საქართველოს საპატრიარქომ 1 ლარად მიიღო თბილისში, სიონის ქ. 13/40-ში მდებარე შენობა-ნაგებობა, რომლის საერთო ფართობი 4 971 44 კვადრატული მეტრია და მასზე დამაგრებულია 2 272 კვადრატული მეტრი ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ამავე წელს, საპატრიარქომ ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე კინოთეატრ „ხულოს“ შენობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი მიიღო. 2010 წელს, პირდაპირი მიყიდვის წესით, საქართველოს საპატრიარქოს საკუთრება გახდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, გარდაბანში, რუსთავში, დაბა ასპინძასა და თბილისში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები.

თბილისის მერიამ, 2008-2010 წლებში, საქართველოს საპატრიარქოს დედაქალაქის სხვადასხვა ადგილას, რამდენიმე ათეული ჰექტარი მიწა და შენობა-ნაგებობები 1 ლარად გადასცა. მაგალითად, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთი; საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩაზე, შპს „აგრეგატის“ მიმდებარედ, 1 800 კვადრატული მეტრი ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; ბაგებში, ავტოინსპექციის პოსტის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი და ფანასკერტელის ქუჩაზე 14-ში არსებული 2 505 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი.

რელიგიური კონფესიების დაფინანსება

ოფიციალური დოკუმენტებით, ადმინისტრაციულ ორგანოთა უმრავლესობა ღიად აცხადებს, რომ საქართველოს საპატრიარქოს გარდა, სხვა რელიგიურ კონფესიებს არ აფინანსებენ. მიუხედავად ამისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ანგარიშში ასახულია რამდენიმე ფაქტი, რაც სახელმწიფოს მიერ, 2002-2012 წლებში, სხვა რელიგიური კონფესიების მიმართ გაწეულ ფინანსურ დახმარებას ასახავს.

პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს იეზიდთა კავშირს, 2010 წელს, ვარკეთილის ტერიტორიაზე 1 ლარად გადასცეს 1 629 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი, რათა ქურთული კულტურული ცენტრი აშენებულიყო. ცენტრში ქურთულ და ქართული ენებს, ისტორიას, კულტურასა და კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს ასწავლიდნენ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2009-2012 წლებში, ქართული და სომხური ეკლესიებისთვის 35 624 ლარი გამოყვეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს, ხელისუფლების მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მათ მიერ გამოთხოვილი მონაცემები რელიგიურ კონფესიების დაფინანსებასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ ორგანოთა უმრავლესობამ დაგვიანებით მიაწოდა, რამდენიმე მათგანმა კი მკვლევარების კითხვები უპასუხოდ დატოვა. არადა, სახელმწიფო ვალდებულია, რომ ქვეყანაში სხვადასხვა რელიგიური კონფესიების დაფინანსება გამჭვირვალე პროცესი იყოს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აჭარაში, 2013 წლის სტატისტიკური მონაცემები შეაფასა

„2013 წლის პირველ ნახევარში დანაშაულმა 3277 ერთეულით იკლო, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი კი გაორმაგდა“

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ვიზიტით აჭარის რეგიონში იმყოფებოდა. შს მინისტრის გადაწყვეტილებით, გასვლითი თათბირი დაინიშნა სწორედ იმ რეგიონში, სადაც ყველაზე მეტ დამსვენებელს ელოდებიან.

საკურორტო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, მინისტრმა ბათუმში საქართველოს რეგიონების სამხარეო სამმართველოების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი ჩაატარა. სამხარეო სამმართველოების ხელმძღვანელების ინფორმაციით, ადგილობრივმა სამართალდამცველებმა 1-კვირიანი მოსამზადებელი კურსი გაიარეს ტურისტებისა და დამსვენებლების უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით. საკურორტო სეზონისთვის აჭარის რეგიონში თბილისიდან და სხვადასხვა რეგიონებიდან სამართალდამცველების დამატებითი კონტინგენტი ჩავიდა.

თათბირზე ასევე განიხილეს პოლიციის მუშაობის 6 თვის შედეგები. წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დანაშაულმა 3277 ერთეულით იკლო, ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გაორმაგებულია. მინისტრმა პოლიციის მუშაობა დადებითად შეაფასა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საერთაშორისო ნარკოტრეფიკის საქმის გახსნის მნიშვნელობას.

2013 წლის 6 თვის მონაცემები, 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით:

ქვეყნის მასშტაბით, 2012 წელს 17485 დანაშაული მოხდა, აქედან გახსნილი: 4271 საქმე, გახსნის მაჩვენებელი: 24,4%-ია. მაშინ, როცა 2013 წელს მომხდარი 14128 დანაშაულიდან გაიხსნა 7243 და გახსნის მაჩვენებელმა 51,3%-ს მიაღწია. დანაშაული შემცირებულია 3277 ფაქტით და გახსნის მაჩვენებლის მატებაა 26,8%.

რაც შეეხება თბილისს, სადაც 2012 წელს 7744 ფაქტი დაფიქსირდა, საიდანაც გაიხსნა 1925, რაც გახსნის მაჩვენებლის 24,9%-ია. 2013 წელს დედაქალაქში 7032 დანაშაული მოხდა, საიდანაც გაიხსნა 2506 და გახსნის მაჩვენებელმა 35,6%-ს მიაღწია. დანაშაულის კლების მაჩვენებელია 712 ერთეული, რაც გახსნის მაჩვენებლის მატებას ნიშნავს 10,8%-ით.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაშაულის გახსნის მაჩვენებლებს რეგიონების მიხედვითაც აქვეყნებს.

იმერეთი - რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი — 2012 წელს მომხდარი დანაშაული: 2603; აქედან გახსნილი – 523; გახსნის მაჩვენებელი: 20,1%. 2013 წელს მომხდარი დანაშაული: 1307; აქედან გახსნილი – 982; გახსნის მაჩვენებელი: 75,1%; დანაშაულის კლება: 1296; გახსნის მაჩვენებლის მატება: 55%.

კახეთი — 2012 წელს მომხდარი დანაშაული: 803; აქედან გახსნილი: 384; გახსნის მაჩვენებელი: 47,8%; 2013 წელს მომხდარი დანაშაული: 1045; აქედან გახსნილი: 794; გახსნის მაჩვენებელი: 76%; დანაშაული მატება: 442; გახსნის მაჩვენებლის მატება: 28%;

სამეგრელო-ზემო სვანეთი — 2012 წელს — მომხდარი დანაშაული: 1194; აქედან გახსნილი: 241; გახსნის მაჩვენებელი: 23,5%; 2013 წელს — მომხდარი დანაშაული: 683; აქედან გახსნილი: 494; გახსნის მაჩვენებელი: 72,3%; დანაშაულის კლება: 511; გახსნის მაჩვენებლის მატება: 48,8%;

აჭარა — 2012 წელს მომხდარი დანაშაული: 1387; აქედან გახსნილი: 218; გახსნის მაჩვენებელი: 15,7%; 2013 წელს მომხდარი დანაშაული: 1282; აქედან გახსნილი: 771; გახსნის მაჩვენებელი: 60,1%; დანაშაულის კლება: 105; გახსნის მაჩვენებლის მატება: 44,4%.

გურია — 2012 წელს მომხდარი დანაშაული: 289; აქედან გახსნილი: 115; გახსნის მაჩვენებელი: 39,8%; 2013 წელს მომხდარი დანაშაული: 289; აქედან გახსნილი: 133; გახსნის მაჩვენებელი: 46%; გახსნის მაჩვენებლის მატება: 6,2%.

ქვემო ქართლი — 2012 წელს მომხდარი დანაშაული: 2157; აქედან გახსნილი: 715; გახსნის მაჩვენებელი: 14,6%; 2013 წელს მომხდარი დანაშაული: 894; აქედან გახსნილი: 503; გახსნის მაჩვენებელი: 56,3%; დანაშაულის კლება: 1843; გახსნის მაჩვენებლის მატება: 41,7%.

მცხეთა-თიანეთი — 2012 წელს მომხდარი დანაშაული: 423; აქედან გახსნილი: 107; გახსნის მაჩვენებელი: 25,3%; 2013 წელს მომხდარი დანაშაული: 419; აქედან გახსნილი: 262; გახსნის მაჩვენებელი: 62,5%; დანაშაულის კლება: 4; გახსნის მაჩვენებლის მატება: 37,2%.

სამცხე-ჯავახეთი — 2012 წელს მომხდარი დანაშაული: 247; აქედან გახსნილი: 160; გახსნის მაჩვენებელი: 64,8%; 2013 წელს მომხდარი დანაშაული: 338; აქედან გახსნილი: 296; გახსნის მაჩვენებელი: 74,4%; დანაშაულის მატება: 151; გახსნის მაჩვენებლის მატება: 9,6%;

შიდა ქართლი — 2012 წელს მომხდარი დანაშაული: 638; აქედან გახსნილი: 243; გახსნის მაჩვენებელი: 38,1%; 2013 წელს მომხდარი დანაშაული: 739; აქედან გახსნილი: 502; გახსნის მაჩვენებელი: 74,4%; დანაშაულის მატება: 141; გახსნის მაჩვენებლის მატება: 26,4%.

„ვერსიანიუსი“

ახალციხის სასამართლოს შენობის დაზიანების ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო

5 ივლისს, ახალციხეში, სასამართლოს შენობის დაზიანების ფაქტზე, შსს-ს ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) დაიწყეს გამოძიება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სამართალდამცველებმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) 3 პირი დააკავეს: 1982 წელს დაბადებული შალვა ლ, 1992 წელს დაბადებული ბექა თ. და 1983 წელს დაბადებული დავით გ.

საქმეზე გამოძიება სხვა დამნაშავე პირების გამოსავლენად სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

„ბურჭულაძეს წარმატებას ვუსურვებ ყველა საქმეში, თუმცა მე, რა თქმა უნდა, ჩვენს კანდიდატს ვგულშემატკივრობ“

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი პაატა ბურჭულაძეს წარმატებას უსურვებს ყველა საქმეში, გარდა საპრეზიდენტო არჩევნებისა.

ამის შესახებ უსუფაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა. მან ბურჭულაძეს სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავი მიულოცა.

„პაატა ბურჭულაძის სახელი და გვარი თითოეული ჩვენგანისთვის ასოცირდება სიამაყესთან და შეგახსენებთ, რომ ბატონი პაატას შემოქმედებითი მწვერვალები დაემთხვა საქართველოში ყველაზე მძიმე პერიოდს. მას მხოლოდ მადლობა შეიძლება, ვუთხრათ იმ ყველაფრისთვის, რაც მან სცენაზე და შემდეგ საქველმოქმედო საქმიანობით წამოიწყო. მას წარმატებას ვუსურვებ ყველა საქმეში. რაც შეეხება არჩევნებს, აქ უკვე ცოტა სხვაგვარად არის საქმე. მე, რა თქმა უნდა, ვგულშემატკივრობ კანდიდატს, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ დაასახელა. ჩვენ შევარჩიეთ ისეთი კანდიდატი, რომელიც არ დატოვებს კითხვას მოსახლეობის უმრავლესობაში, თუ ვინ უნდა იყოს ქვეყნის პირველი პირი“, — განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, არ აპირებს საუბარს ამა თუ იმ კანდიდატის ღირსებაზე, უბრალოდ დარწმუნებულია, რომ გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურის უპირატესობა აშკარაა.

„პირველი“

პარლამენტის რიგგარეშე სესიას 10 ივლისიდან მოიწვევენ

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია 10 ივლისიდან იქნება მოწვეული. ამის შესახებ, პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა ბიუროს სხდომაზე განაცხადა. მან საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით უკვე წარუდგინა წინადადება რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ. როგორც დავით უსუფაშვილმა განაცხადა, სესია მუშობას 10 ივლისს, 12:00 საათიდან დაიწყებს, ხოლო მიმდინარე კვირის პარასკევს მორიგი სხდომა გაიმართება.

რიგგარეშე სესიაზე, დღის წესრიგში შეტანილ კანონპროექტებს შორისაა: პროექტი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“.

ბიურომ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ ოცდაათამდე ახალ კანონპროექტზე განხილვის პროცედურის დაწყების შესახებაც მიიღო გადაწყვეტილება, მათ შორის, საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ კანონპროექტზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“.

რიგგარეშე სესიის პარასკევის სხდომაზე კი, დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის მიერ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტზე დადებული ვეტოს დაძლევის საკითხის განხილვა.

„ნიუსპრესი“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

შსს-ს „ბიოპლანის“ ამკრძალავი მექანიზმის შემოღების დაჩქარებას სთხოვენ

„ახალგაზრდა ადვოკატები“ შს სამინისტროს ოფიციალური წერილით მიმართავს და საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში, ბოლო პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკული საშუალების ე.წ. ბიოპლანის, იგივე „სპაისების“ მოხმარების, შესყიდვისა და გამოწერის ამკრძალავი მექანიზმის შემოღების დაჩქარებას მოითხოვს.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ აუცილებელია შესწავლილ იქნას, თუ რა მეთოდით ებრძვიან „ბიოპლანის“ გავრცელებას სხვადასხვა ქვეყნები და დაისახოს შესაბამისი ეფექტური ღონისძიებები. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია, სამინისტრომ დააჩქაროს კომუნიკაცია უცხოელ ექსპერტებთან და სამთავრობო დონეზე მიღებულ იქნეს საქართველოში „ბიოპლანის“ მოხმარების, შესყიდვისა და გამოწერის პროცესის შეჩერების, ანდა შეზღუდვის გადაწყვეტილება. აუცილებელია, საკითხის გადაჭრის პროცესში ჩაერთონ ქართველი სპეციალისტები და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებიც. მნიშვნელოვანია, საქართველომ საკითხის დარეგულირების მიზნით, პრობლემის გადაჭრა საკანონმდებლო ცვლილებების დონეზეც მოახდინოს. ასეთი ცვლილებები, სხვადასხვა ფორმით, უკვე განახორციელეს ირლანდიამ, რუმინეთმა, ავსტრიამ, პოლონეთმა, უნგრეთმა, ფინეთმა და სხვა ქვეყნებმა, ძირითადად, დისტრიბუციის აკრძალვის კონტროლისა და ნივთიერებებზე „დროებითი კონტროლის“ შემოღების მიმართულებით. „ახალგაზრდა ადვოკატები“ აგრეთვე მიმართავს გადამზიდავ კომპანიებს, რათა სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ზომების მიღებამდე, უარი თქვან ქვეყანაში ბიოარომატიზატორების შემოტანაზე. გავრცელებული ინფორმაციით, „ბიოპლანის“ ტრანსპორტირებაზე ერთ-ერთმა ქართულმა სადისტრიბუციო კომპანიამ უარი უკვე განაცხადა, რაც სამაგალითო უნდა გახდეს სხვა კომპანიებისთვისაც; თუმცა საკითხს ართულებს ის გარემოებაც, რომ მომხმარებელს ნივთიერების მიღება ინტერნეტის საშუალებით, ნებისმიერ დროს, გამოწერის ფორმით შეუძლია.

„ბიოპლანი“, რომელსაც სამედიცინო წრე უკვე უწოდებს ახალი თაობის ნარკოტიკულ ნივთიერებას, ქართველ მომხმარებლებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. არაოფიციალური ინფორმაციით, თბილისში არაერთი ახალგაზრდა სწორედ „ბიოპლანის“ მოხმარების შედეგად დაიღუპა. „ბიოპლანი“ ადამიანის ჯანმრთელობასა და მის ფსიქიკურ მდგომარეობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, თუმცა მომხმარებლებს რისკები სერიოზულად არ მიაჩნიათ, რასაც ხელს უწყობს მასზე ხელმისაწვდომობაც. ფაქტია, ახალი ნარკოსაშუალებები ქვეყანაში სხვადასხვა გზითა და ხერხით შემოდის. შემოდის წამლების, საკონდიტრო ნაწარმის სახით ან პირველადი მოხმარების ნაწარმად შენიღბული. ასეთია ქართულ ბაზარზე თითქოს სრულიად უწყინარი ჩაი „სპაისი“, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის სწორედ „ბიოპლანის“ სახელით არის ცნობილი. პაკეტზე მითითებულია, რომ ეს არის „ეგზოტიკური, მატონიზებელი არომატული ნაზავი“. „სპაისის“ ერთგრამიანი ეგზოტიკური არომატით „სიამოვნება“ ოთხ კაცს შეუძლია. დისტრიბუტორები ჩაისმყვარულებს აფრთხილებენ, რომ ერთი პაკეტი ერთმა კაცმა არ უნდა მოიხმაროს, თორემ, შესაძლებელია, „დებილიზმი“ ან სხვა მძიმე შედეგი განვითარდეს. იგი „ბიოპლანად“ იმიტომ მოინათლა, რომ მისი მოხმარების შემდეგ არც ერთი ნარკოტესტი ნარკოტიკულ თრობას არ უჩვენებს.

განმარტებისთვის, ბიო, იგივე სპაისი მოსაწევი სინთეტიკური ნივთიერებაა. ის ევროპაში 2000-იან წლებში გამოჩნდა. შემადგენლობის მხრივ, სხვადასხვა სახის არსებობს და რამდენიმე სახის მცენარისა და ქიმიური ნივთიერების (JWH-018, HU-210, CP 47,497) შერევის შედეგად მიიღება. ბიოარომატიზატორს აქვს კანაფის მსგავსი ეფექტი, თუმცა მისი მოქმედება ბევრად სწრაფად იწყება, უფრო ძლიერია, მაგრამ კანაფთან შედარებით, ხანმოკლე. როგორ მოქმედებს „ბიოპლანი“ ორგანიზმზე, ჯერ ბოლომდე შესწავლილი არ არის. პირველი სინთეტიკური კანაბინოიდის (მარიხუანას, ჰაშიშის აქტიური ნივთიერება) შემქმნელი პროფესორი ჯონ ჰაფმანი ბიოს მომხმარებლებს „იდიოტებს“ უწოდებს, რადგან, მისი თქმით, მათ არ იციან, რა შედეგით შეიძლება დამთავრდეს ეს. „ბიოს“ მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს: თავბრუსხვევა, შფოთვა, ჰალუცინაციები, აღქმის დარღვევა, კოორდინაციის დარღვევა, სისუსტე, მეხსიერების დაქვეითება, ნევროზი და ფსიქოზი (ისიც გასათვალისწინებელია, რომ დიდი დოზით მსგავსი ეფექტი კანაბინოიდის ნებისმიერ შემცველს შეიძლება ჰქონდეს). დღეს უკვე უამრავი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ბიოს მავნე ზეგავლენაზე: რა დამღუპველად მოქმედებს ის ფსიქიკაზე, ფილტვებზე, ტვინზე, როგორ იწვევს მიდრეკილებებს სუიციდისკენ და როგორ ასრულებენ სიცოცხლეს მისი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები თვითმკვლელობით. „სპაისის“ მოხმარებით დაზარალებულების შესახებ ცნობები დღითიდღე მატულობს.

როგორც ჩანს, ახალი დამღუპველი ნარკოტიკული საშუალების გავრცელებამ ხელისუფლებაც გვარიანად შეაშფოთა, რადგან პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში უკვე შეტანილია პროექტი მისი აკრძალვის შესახებ. შსს-მ „ბიოპლანის“ დამდგენი ტესტები საზღვარგარეთ დაუკვეთა და სასურველი შედეგიც მიღებულია. უახლოეს მომავალში მისი გავრცელება-მოხმარება კანონით აიკრძალება, ხოლო ვინც უკვე აღმოჩნდა ახალი თაობის ნარკოტიკის ტყვეობაში, იმედია, სრულფასოვანი სამკურნალო კურსით უზრუნველყოფილი იქნება.

Wall Street Journal — სააკაშვილი მერყევი, გაუბედავი და მორჩილი გახდა

„გაკვეთილები დემოკრატიული გამოცდილებიდან“, — ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკული გამოცემა Wall Street Journal მეთიუ კამინსკის სტატიას საქართველოს შესახებ. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, მიხეილ სააკაშვილი უდიდესი ენთუზიაზმით გამოირჩეოდა. მას ძალიან უყვარდა თავისი თანამედროვე საპრეზიდენტო სასახლის სხვებისთვის ჩვენება და თბილისის გარშემო ტურების ექსპრომტად მოწყობა.

„თუმცა, ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. 45 წლის მიშა, იგივე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ახლა პოლიტიკური გვამია. მას შემდეგ, რაც მისი პარტია საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა, ის მერყევი, გაუბედავი და მორჩილი გახდა. მიშამ ქვეყანა პირველ თავისუფალ საპარლამენტო არჩევნებამდე მიიყვანა. 2008 წელს ის გადაურჩა რუსეთთან ომს და პუტინის მუქარას – ჩამოეკიდა სააკაშვილი გენიტალიებით“, — წერს მეთიუ კამინსკი.

სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ ცივი ომის დასრულებასთან ერთად, ჩეხეთი, ბალტიისპირეთი და ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნები გათავისუფლდნენ ტოტალიტარიზმისგან და დასავლეთს შეუერთდნენ.

„სავარაუდოდ, ამ ბედნიერი დასასრულისკენ მიექანებოდა საქართველოც. თუმცა, ეგვიპტის დღევანდელ მაგალითზე დიდხანს ყურება არ არის საჭირო იმის მისახვედრად, თუ რა რთულია გზა რევოლუციიდან უკეთესობისკენ“, — წერს მეთიუ კამინსკი.

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ ამის საილუსტრაციოდ მიხეილ სააკაშვილის გამოცდილება გამოდგება, რომელმაც ცხრა წლის წინ ქუჩის დემონსტრაციების შედეგად, ქვეყნის პრეზიდენტი თანამდებობიდან გადააყენა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომელსაც სააკაშვილი ედგა სათავეში, თბილისში მყოფმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუში-უმცროსმა საქართველოს „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა, რამაც მის გვერდით მდგომი მიშა გააცისკროვნა“, — აღნიშნავს Wall Street Journal-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი მეთიუ კამინსკი.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ერთ ღამეში 15 ათასი პოლიციელი გაათავისუფლეს და თან გააყოლეს კორუფცია, რომელიც მაშინდელი საქართველოს კულტურის ნაწილი იყო. საქართველო, პირველად ისტორიაში, დაწინაურდა მსოფლიო ბანკის რეიტინგში, 90-იანი წლების ომის დროს განადგურებული თბილისი კი მიმზიდველ ადგილად იქცა.

„მაგრამ სააკაშვილის ტოლერანტობა პოლიტიკური ოპონენტებისა და მედიის თავისუფლების მიმართ დროთა განმავლობაში დაჭკნა. გარდამტეხი კი 2007 წელი გამოდგა, როცა მან პოლიცია გააგზავნა ანტისამთავრობო დემონსტრაციის და ერთ-ერთი სატელევიზიო ოპოზიციური არხის დასარბევად. შემდგომში მან უკან დაიხია, თუმცა ზიანი უკვე მიყენებული იყო“, — წერს სტატიის ავტორი.

როგორც მეთიუ კამინსკი აღნიშნავს, სააკაშვილის ძლევამოსილი მმართველობიდან ათი წლის შემდეგ, მეგობრები მტრებად და პროპაგანდისტულ შურისმაძიებლებად იქცნენ.

„სწორედ ამ დროს ჩნდება სცენაზე ბიძინა ივანიშვილი, განმარტოებული მილიარდერი, რომელმაც ქონება 90-იან წლებში, რუსეთში დააგროვა. ის სამშობლოში ათი წლის წინ დაბრუნდა, რამდენიმე წლის განმავლობაში ეხმარებოდა მიშას, თუმცა გაურკვეველი მიზეზებით, გაწყვიტა მასთან ურთიერთობა და ოპოზიციური მოძრაობა „ქართული ოცნების“ დაფინანსება დაიწყო“, — წერს სტატიის ავტორი და დასძენს, რომ 2011 წლიდან მოყოლებული მიხეილ სააკაშვილმა ბიძინა ივანიშვილის განადგურება დაიწყო – უარი უთხრა საქართველოს

მოქალაქეობაზე, შეტევა მიიტანა მის ბანკსა და ტელევიზიებზე.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება ორივესთვის შოკისმომგვრელი იყო. „თავად პროცესი იყო არაჩვეულებრივი“, — ციტირებს სტატიის ავტორი პრეზიდენტის სიტყვებს.

„დიდსულოვანი არც ბიძინა ივანიშვილია, რომელიც არჩევნების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გახდა. თვალი თვალის წილ – კავკასიური მეთოდია. ახლა ძლევამოსილი ბიძინა ივანიშვილი ანადგურებს მიხეილ სააკაშვილს. არჩევნების შემდეგ მან სააკაშვილს გადადგომისკენ მოუწოდა, თუმცა მოგვიანებით გადაიფიქრა, როცა ამაზე ევროპამ და აშშ-მ დაიჩივლეს“, — წერს მეთიუ კამინსკი და დასძენს, რომ არჩევნების შემდეგ დაიწყო სააკაშვილის პოლიტიკური მოკავშირეების სამართლებრივი დევნა, ათობით მათგანი გაასამართლეს და დააკავეს, მათ შორის, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილიც.

სტატიის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ივანიშვილი არ „გამორიცხავს“ სააკაშვილის დაკავებას, რომელსაც „ტყუილის ნიჭიერ ოსტატს“ უწოდებს და რომელიც „პატივს არ სცემს ქართულ კანონმდებლობას“.

სტატიის ავტორი ასევე ციტირებს კავკასიის მკვლევარის, ექსპერტ თომას დე ვაალის კომენტარს, რომელიც აცხადებს, რომ საქართველო არ განიცდის უკრაინის მსგავს რეგრესს და საქართველოს პარლამენტში ოპოზიცია მმართველ პარტიასთან თანამშრომლობს, ამომრჩეველს კი საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება სურს.

„მაგრამ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური დევნა ქვეყანას აქეთკენ არ წაიყვანს. ეს არ არის მომწიფებული დემოკრატიისკენ მიმავალი გზა“, — აღნიშნავს თომას დე ვაალი Wall Street Journal-თან საუბრისას.

სტატიის ავტორი ასევე იხსენებს რობერტ დალის წიგნს „დემოკრატიის შესახებ“, სადაც დალი იმ საფრთხეების ნუსხას აქვეყნებს, რომლებიც პოპულარულ მთავრობებს ემუქრება. ესენია: ეკონომიკური ვარდნა, კორუფცია, ოლიგარქია, ომი, დამპყრობლობა, ავტორიტარული მმართველობა.

„ერებისთვის ისევე, როგორც ადამიანებისთვის, რთულია ღრმად ფესვგადგმულ ჩვევებზე უარის თქმა. ერთობ მაცდუნებელია არაბული სამყაროსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების დემოკრატიაზე ხელის ჩაქნევა. საქართველოს გამოცდილება სხვა რამეზე მეტყველებს: მათი ლიდერების, მოქალაქეებისა და უცხოელი მეგორების ვალდებულებაზე, მოთმენასა და რწმენაზე“, — წერს მეთიუ კამინსკი.

„ინტერპრესნიუსი“

სააკაშვილი – ქართველი ნორიეგა

მანანა ნოზაძე

სამხედრო ექსპერტ ვახტანგ მაისაიას აზრით, საუდის არაბეთში ვიზიტებისას სააკაშვილი აშშ-ს მიერ შავ სიაში შეყვანილ საუდის არაბეთის დაზვერვის სამსახურის ყოფილ უფროსს — ადნახა ჟოგის ხშირად ხვდებოდა, რომელიც, თავის მხრივ, იარაღით გავლენიანი მოვაჭრეა. ექსპერტის განმარტებით, ადნახა ჟოგი აქტიურად მოქმედებდა ლიბანში, ცენტრალურ აზიასა და კავკასიის მიმართულებითაც, ამიტომ ექსპერტი მიიჩნევს, რომ დავით კეზერაშვილის კავშირები თუ გაიშიფრება, ისიც გაირკვევა, იარაღი სად და როგორ მოძრაობდა.

ვახტანგ მაისაიას აზრით, დანაშაულებრივ სქემაში ჩართული იყო ასევე, დუბაიში ფიქსირებული ვიქტორ ბუტის კომპანიაც, რომელიც ახორციელებდა ევროპის მიმართულებით იარაღის გადაადგილებას. ამ სამი მომენტის, ასევე, ფოთის პორტის პრივატიზაციის გეგმების უკან კი, რომელსაც არაბულ კომპანიასთან მივყავართ, შეიძლება იდგეს ადნახა ჟოგი — უძლიერესი ფიგურა, რომელიც, ბუნებრივია, ჩრდილში მოქმედებს. თუმცა იგი ამერიკის ოფიციალური წარმომადგენლობის მიერ შეტანილი იყო შავ სიაში და მას ამერიკაში ახლაც არ შეესვლება. ამდენად, ვახტანგ მაისაიას აზრით, ყველაფერ ამის გადამოწმება თუ მოხდება, ბევრი რამ გამოჩნდება.

„ჩემი ანალიტიკური დასკვნით, სააკაშვილი რომ დარბოდა არაბეთში, კონკრეტულად, აბუ-დაბიში, დუბაისა და კატარში, ეს ის ადგილებია, სადაც ოფიციალურად აქვს შტაბ-ბინა თალიბანის მოძრაობას, სადაც იყო ვიქტორ ბუტის ოფისი. სწორედ აბუ-დაბისა და კატარში აქტიურობდა საუდის არაბეთის დაზვერვა და მათთან დაახლოებული პირები, განსაკუთრებით, ადნახა ჟოგი, რომელიც ნომერ-პირველი იარაღით მოვაჭრე და საკმაოდ სკანდალური პიროვნებაა და ერთი პერიოდი, ბინ ლადენის კომპანიის წარმომადგენელიც გახლდათ. ამ კუთხით, სააკაშვილის ვიზიტები ბევრ კითხვას იწვევდა. თვითონ მიხეილ სააკაშვილმაც თქვა, რომ ის არაბული ბიზნესის ინვესტიციების მოზიდვას ახორციელებდა. თუმცა ჩემს მიერ ჩამოთვლილ ადგილებში მოქმედებდნენ, როგორც ჩვეულებრივი, ისე შავი ბიზნესის წარმომადგენლები. მათ შორის, იარაღით, ნარკოტიკებით მოვაჭრეები. ნაწილობრივ ამას ადასტურებს ისიც, რომ 7 ტონა ნარკოტიკი გადიოდა საქართველოს ტერიტორიიდან, რაც გაერო-სა და სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ დოკუმენტებშიცაა დაფიქსირებული. ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებმაც დაადასტურეს, რომ საქართველო იყო არალეგალური იარაღის ქვეყანა და აქედან ხდებოდა ექსპორტი“, — აღნიშნა For.ge-სთან საუბარში ვახტანგ მაისაიამ.

მისი თქმით, ლაფანყურის ოპერაცია პირდაპირ კავშირშია, რომ სააკაშვილს უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ვაჰაბიტურ რადიკალ დაჯგუფებებთან. საუბარია ბარაევისა და ძმები ახმადოვების მომხრე დაჯგუფებებთან, რომლებიც დაქირავებული ვაჰაბიტი მებრძოლები არიან და ყველაფერზე მიდიან. ამაში ვახტანგ მაისაია გულისხმობს სიკვდილის ესკადრონების შექმნას, ადამიანების გატაცებას, იარაღის ბიზნესსა და ნარკოტიკებს. ასეთ დაჯგუფებასთან კი არა მარტო სააკაშვილსა და მის დაჯგუფებას, არამედ საიდუმლო პოლიციას — კონტრდაზვერვის დეპარტამენტსაც ჰქონდა უშუალო კავშირი.

ვახტანგ მაისაია აღნიშნავს, რომ სააკაშვილის საეჭვო კავშირებს მტკიცებულებაც არ სჭირდება. მით უფრო, რომ პირადად იგი, როგორც ექსპერტი, გახლდათ ეუთო-ს საერთაშორისო ექსპერტი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში, ასევე, პოლიტიკური ისლამის სფეროში დაცული აქვს დისერტაცია. ამდენად, ასეთი გონივრული ეჭვის საფუძველი მას ნამდვილად გააჩნია. ვახტანგ მაისაია აცხადებს, თუ ეს კავშირები დაუმტკიცდება სააკაშვილს, მას ამერიკის სასამართლოსთან ექნება საქმე, ვინაიდან ვიქტორ ბუტიც გაასამართლა ამერიკის სასამართლომ და ამერიკულმა მხარემ მოითხოვა მისი დაკავება. ასე რომ, სააკაშვილის მოქმედება ამერიკის ინტერესების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლება და ეს იქნება რეალური მაგალითი იმისა, რომ სააკაშვილი ტყუილად ეფიცებოდა ამერიკას ერთგულებას.

„ეს იქნება ნორიეგას ვარიანტი. სააკაშვილი არის ქართველი ნორიეგა. თავის დროზე, მანუელ ანტონიო ნორიეგა მორენო იყო პროამერიკული იდეის მქონე პიროვნება, მას კავშირი ჰქონდა იმდროინდელი ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მაგრამ მოგვიანებით, მან კავშირები დაამყარა კოლუმბიურ მემარცხენე რადიკალურ დაჯგუფებასთან. გარდა ამისა, მას ურთიერთობა ჰქონდა კოლუმბიის კარტელის წარმომადგენლებთან. ამიტომაც ამერიკელები პანამაში შეიჭრნენ, ნორიეგა დააპატიმრეს და გაასამართლეს, რადგან იგი ამერიკის ნაციონალურ ინტერესებსა და მის უსაფრთხოებას რეალურ საფრთხეს უქმნიდა. იგივე ბედი ელის მიხეილ სააკაშვილს“, — მიიჩნევს ვახტანგ მაისაია.

ამასთან, ექსპერტი იარაღის უკანონო ვაჭრობით მიღებულ სავარაუდო, საკმაოდ დიდ თანხებზეც საუბრობს. კერძოდ, მსოფლიო მასშტაბით, რამდენიმე მილიარდს აღწევს ეს თანხები. მარტო რუსეთის ფედერაცია ოფიციალური იარაღის გაყიდვით იღებს 10-დან 20 მილიარდ დოლარამდე შემოსავალს. არალეგალური ბიზნესის მოცულობა კი დაახლოებით ამდენივეა, ან უფრო მეტიც. ქართული მხარე კი ამ ყველაფერში, სავარაუდოდ, 5-10 მილიარდ დოლარით ხეირობდა.

„აქ რამდენიმე სქემის კომბინაციაა და თანხის დადგენა ცოტა რთულია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციები ადასტურებენ, რომ საქართველო იყო არალეგალური იარაღის ქვეყანა სწორედ მიხეილ სააკაშვილის პერიოდში. 2011-12 წლებში, საქართველოს გავლით აქაური თვითმფრინავით ხდებოდა კალაშნიკოვების დიდი პარტიის გადაზიდვა უგანდაში. ეს ტვირთი ბულგარეთის პოლიციამ დააპატიმრა და აღმოჩნდა, რომ საქართველოს მიმართულებიდან მიდიოდა. ბულგარეთის ტრანზიტს სწორედ ვიქტორ ბუტის კომპანია იყენებდა“, — მიიჩნევს ყოფილი პოლიტპატიმარი.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე აღნიშნულ ინფორმაციას ვერც ადასტურებს და ვერც უარყოფს, თუმცა დიდი ალბათობით, აცხადებს, რომ საქართველო მიმზიდველი იქნებოდა ნარკოტიკული საშუალებების თუ იარაღის ტრანზიტისთვის, რადგან საეჭვო პირების მიერ ადვილად ხდება ჩვენისთანა ქვეყნების კონტროლი და საეჭვო ტვირთების გადაადგილება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ყოფილი ხელისუფლების დროს არანაირი დემოკრატიული კონტროლი არ ხორციელდებოდა ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებზე.

„ასეთ შემთხვევებში, ხდება თანხაზე შეთანხმება მასთან, ვინც აკონტროლებს სიტუაციას და, ვისაც შეუძლია ძალოვანების კონტროლი. ამის შემდეგ კი, უკვე მარტივია და გარანტიაც გაქვს, რომ შენი ტვირთი უსაფრთხოდ გაივლის. იქ იყვნენ ლიდერები, რომლებსაც შეეძლოთ, გარკვეული ჯგუფებისთვის ისეთი პირობები შეექმნათ, რომ საიდუმლო ოპერაციის საფარქვეშ იარაღის უკანონო მიმოქცევა მომხდარიყო“, — აცხადებს გიორგი თავდგირიძე და მიიჩნევს, რომ ურიგო არ იქნება, თუკი ჟურნალისტური გამოძიება ამ საკითხით დაინტერესდება. მისი აზრით, როცა ასეთი ტიპის სამალავების თემა აქტუალურია და, როცა, თუნდაც, ნარკოტიკის ასეთ დიდ პარტიას აკავებენ, გამოძიება მარტო იმ კუთხით კი არ უნდა წარიმართოს, რომ ერთი კონკრეტული დამნაშავე დაისაჯოს, არამედ სპეციალური ჯგუფი უნდა შეიქმნას, რომ ამ მიმართულებით საქართველო უმაღლეს დონეზე გაკონტროლდეს. გიორგი თავდგირიძის განმარტებით, უკანონო ტრანზიტის აღკვეთა აუცილებელია თუნდაც იმისთვის, რომ ევროპულმა ქვეყნებმა სერიოზულად შემოგვხედონ და ნატო-ში გავწევრიანდეთ.

შს მინისტრმა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრის სამდივნო გახსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შსს-ს აკადემიაში „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრის“ თბილისის რეგიონული სამდივნო გახსნა.

„ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრები“ (CBRN Centers of Excellence) წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას, რომელიც ხორციელდება ევროკომისიის ერთიანი კვლევითი ცენტრის (JRC) და გაერო-ს რეგიონთაშორისი დანაშაულის და მართლმსაჯულების კვლევის ინსტიტუტის (UNICRI) ერთობლივი ძალისხმევით.

ევროკავშირის ამ ინიციატივას მსოფლიოში სამოცზე მეტი პარტნიორი ჰყავს. პარტნიორი ქვეყნები გაერთიანებული არიან რვა რეგიონულ სამდივნოში. ერთ-ერთი ასეთი სამდივნო განთავსდა თბილისში, შსს-ს აკადემიაში, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, სამხრეთ კავკასიას, უკრაინასა და მოლდოვას მოიცავს.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების საკითხები მსოფლიოს მასშტაბით აქტუალურია. „ქბრბ“ ინციდენტები უდიდესი ზიანის მომტანია ადამიანებისა და გარემოსთვის. ისინი წარმოიქმნება ბუნებრივი, შემთხვევითი (ადამიანური ფაქტორი) და კრიმინალური (სხვადასხვა ტერორისტული, რადიკალური დაჯგუფებები) გარემოებების შედეგად. არსებული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, აღნიშნული სამდივნო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსა და მთელი რეგიონისთვის.

ცენტრის პრეზენტაციაზე შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა საჩვენებელი ღონისძიება მოაწყვეს, რომელზეც ქიმიურ, რადიაციულ და ბიოლოგიურ ინციდენტებზე ეფექტური და დროული რეაგირების უნარ-ჩვევები წარმოადგინეს. საჩვენებელი ღონისძიების შემადგენელი ნაწილი იყო: უსაფრთხოების ზონების გამოყოფა, დაზვერვითი სამუშაოები (იდენტიფიკაცია), დაზარალებულების გამოყვანა ცხელი ზონიდან და დეკონტამინაცია. ასევე გაიმართა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის კუთვნილი აღჭურვილობის პრეზენტაცია, რომელშიც ათობით ხელსაწყო და აღჭურვილობის ნიმუში შედის, მათ შორის, სადეკონტამინაციო აღჭურვილობა, ქიმიურ და რადიაციულ საფრთხესთან სამუშაო-საძიებო და საიდენტიფიკაციო სპეცდეტექტორები, სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტი, ქიმიური ნივთიერებისგან დამცავი სპეციალური კომბინეზონები და სხვა.

თბილისის რეგიონული სამდივნოს გახსნას დაესწრნენ გაერო-ს დანაშაულისა და მართლმსაჯულების რეგიონთაშორისი კვლევითი ინსტიტუტის (UNICRI) დირექტორი ჯონათან ლუკასი, ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი, ევროკავშირის წევრი ქვეყნების და თბილისში აკრედიტებული სხვა სახელმწიფოების ელჩები, ადგილობრივი თუ უცხოელი ოფიციალური პირები.

„ვერსიანიუსი“

ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო საქმიანობას მიმდინარე კვირას დაუბრუნდება

ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო საქმიანობას მიმდინარე კვირას დაუბრუნდება, ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა.

„პარლამენტი ჩვენი ბუნებრივი პოლიტიკური ბრძოლის ველია და იმ კონკრეტული პროტესტის გამოხატვის შემდეგ ვუბრუნდებით მას, ამიტომ ამ კვირიდან უკვე საგანგებო სესიის ფორმატში დავუბრუნდებით საპარლამენტო მუშაობას“, — განაცხადა ბაქრაძემ.

„პირველი“

„იხსენით ჩვენი სულები!“ – უსინათლოთა თეატრის პრემიერა

ლაშა ცაიშვილი

მას შემდეგ, რაც საქართველოში ახალი ხელისუფლება მოვიდა, როგორც საზოგადოების უდიდესი ნაწილი, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებიც, ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. უპირველეს ყოვლისა, რაც ყველაზე მთავარია, მათ საზოგადოების წევრებად იგრძნეს თავი და ისიც აღმოაჩინეს, რომ სამინისტროებს კარიც ჰქონიათ, მათ მიღმა ადამიანებიც მუშაობენ და, რაც მთავარია, ეს ადამიანები კარიქით მყოფთაც ადამიანებად მიიჩნევენ. ყოველივე ეს ახალი ხელისუფლების ხოტბა არ გახლავთ და არც განსაკუთრებული მოვლენა, უბრალოდ, წინა ხელისუფლების ქმედებებიდან გამომდინარე, ყველაფერი ადამიანური გვაოცებს და ჩვეულებრივი მოვლენაც კი არაჩვეულებრივად მიგვაჩნია. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ, ამ მხრივ, ყველაზე აქტიური სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო გახლავთ და განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების და განსაკუთრებით უსინათლოების მიმართ.

სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ლევან ყიფიანისა და ახალგაზრდული დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბატონ ნუგზარ კანდელაკის დიდი ძალისხმევითა და ფინანსური თანადგომით, ამა წლის 10 მაისს გამოიცა ლოცვანი უსინათლოებისთვის ბრაილის შრიფტით, რომელიც თავისი შემადგენლობითა და ლოცვების რაოდენობით უპრეცედენტოა. ლოცვანის პრეზენტაცია საპატრიარქოში გაიმართა, სადაც პატრიარქი უსინათლოებს შეხვდა.

ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით,აქტიურად მოხერხდა უსინათლოების ჩართვა სხვადასხვა სახის სპორტულ აქტივობებში, მათ შორის, დაფინანსდა ჭადრაკის წრე — უსინათლოთა კავშირთან არსებულ კულტურის ცენტრში. წარმატებულ უსინათლოებს კი მიეცემათ შესაძლებლობა, საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებსა და ღონისძიებებში მონაწილეობისა. უახლოეს მომავალში იგეგმება უსინათლოთა ფეხბურთის გუნდის შექმნა, რაც საქართველოში უპრეცედენტო სიახლე იქნება.

ამავე სამინისტროს აქტივობითა და ფინანსური მხარდაჭერით, 2013 წლის მარტიდან კვლავ აღორძინდა, ყველასგან მივიწყებული, შემოქმედებით გაერთიანება „ლაბა“ და მასთან ამჟამად არსებული უსინათლოთა დრამატული თეატრი. მართალია, ყოფილა შემთხვევები, სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა თეატრის არსებობისა, მაგრამ, როგორც ამბობენ, მსგავსი თეატრი, სადაც ამდენი უსინათლო და მცირემხედველია გაერთიანებული, მსოფლიო მასშტაბით უპრეცედენტოა და ანალოგი არ მოეძებნება.

„ვერსია“ შემოქმედებითი გაერთიანება „ლაბას“ ხელმძღვანელსა და მასთან არსებული უსინათლოთა დრამატული თეატრის რეჟისორს ბატონ ალექსანდრე ლაბაძეს ესაუბრა, რომელმაც განაცხადა: „მსოფლიოში პირველი და ერთადერთი უსინათლოთა დრამატული თეატრი ჩამოყალიბდა 1997 წელს, საქართველოს უსინათლოთა კავშირის ბაზაზე. თეატრის სათავეებთან იდგნენ უსინათლოთა კავშირის წევრები სულხან გველესიანი, რევაზ ტატალაშვილი, ხათუნა სამხარაძე, გიორგი კირაკოსიანი, ნუნუკა დარბაიძე, ნაირა კახიაშვილი, ზვიად ფხიკლეშვილი, აწგარდაცვლილი სერგო სამხარაძე და რეჟისორები ალექსანდრე ლაბაძე და აწგარდაცვლილი რევაზ ხუსკივაძე. სპექტაკლებში დაკავებულები არიან უსინათლო და მცირემხედველი ადამიანები. 1997-1999 წლებში, თეატრმა დადგა სამი სპექტაკლი — გენო კალანდიას „დაღი შემცდარი სიყვარულისა“ და მიხო მოსულიშვილის „მეცამეტე ექსპერიმენტული“ და „ტყის კაცი“. 1998 წელს მონაწილეობა მიიღო თეატრალურ ფესტივალში „საჩუქარი“. წელს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თანადგომით, ეს უნიკალური თეატრი კვლავ აღორძინდა. ამჟამად დასი მუშაობს დრამატურგისა და რეჟისორის ზურაბ კანდელაკის პიესაზე „იხსენით ჩვენი სულები“.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი გახლავთ ალექსანდრე ლაბაძე, კონსულტანტი, ზურაბ კანდელაკი. მონაწილეობენ: ირმა ჩიხლაძე, ზვიად ფხიკლეშვილი, რევაზ ტატალაშვილი, ამირან ღოღაძე, სურენ მანუკიანი, ლელა წიკლაური, თამარ ცალქალამანიძე, დავით ყვირილიანი და 202-ე უსინათლო ბავშვთა სკოლის მოსწავლეები: მაკა თინიკაშვილი, ანა სიხაშვილი, ნიკოლოზ წიკლაური, მარეხ ალანია და გიორგი ქევხიშვილი. **სპექტაკლის პრემიერა შედგა მიმდინარე წლის 28 ივნისს „თეატრში ათონელზე“, რომელმაც მაყურებლის მაღალი შეფასება დაიმსახურა, რაც უდავოდ, მოსალოცი წარმატებაა. თუმცა საინტერესოა, აქვს თუ არა იმედი დასს, რომ სამომავლოდ, ხელისუფლება ან სხვა სახელმწიფო თუ კომერციული სტრუქტურები თანადგომას გამოიჩენენ. ამის შესახებ ბატონი ალექსანდრე აცხადებს, რომ** „თუკი საზოგადოება, ხელისუფლება ან ბიზნესმენები სათანადო ინტერესსა და ყურადღებას გამოიჩენენ, ჩვენ მზად ვართ, არაერთხელ წარვსდგეთ მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე. გვინდა ვთხოვოთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია თეატრალური ხელოვნება და დაინტერესებულია შშმ პირთა ინტეგრაციით ჯანმრთელ საზოგადოებასთან, გამოიჩინოს სათანადო ყურადღება, რათა არ შეწყდეს შემოქმედებითი პროცესი და არ შემოვიფარგლოდ მხოლოდ ერთი სპექტაკლით. რაც შეეხება სპექტაკლს „იხსენით ჩვენი სულები“, ერთი შეხედვით, ეხმიანება აფხაზეთის თემას, თუმცა სიმბოლურად ირეკლავს მსოფლიო მდგომარეობასაც და გლობალურად ასახავს თანამედროვე სამყაროს დაცემულ და ცოდვიან სურათს. სპექტაკლი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ჭრილში წარმოადგენს სხვადასხვა ჭეშმარიტი ღირებულებებისა და დაკარგული ადამიანობის გამოტირებას მსოფლიო მასშტაბით და ლაიტმოტივად გასდევს ფრაზები: „არა, აღარასოდეს იქნება ზღვა ისეთი კამკამა, აღარასოდეს“ და „ყველამ ყველაფერი იცის, მაინც ისე გამოდის, რომ არავინ არაფერი არ იცის“. და რომ ადამიანთა მოდგმაში ძალზედ მძლავრობს „კურდღლის სინდრომი“ და ეგოისტური თვითგადარჩენის ინსტინქტი“.

სპექტაკლის პრემიერა სრული ანშლაგით წარიმართა, უსინათლოებმა თავიანთი ნიჭით დაუვიწყარი და წარმოუდგენელი შთაბეჭდილება მოახდინეს მაყურებელზე. მათ შორის კი გამოირჩეოდა მთავარი როლის შემსრულებელი ქალბატონი ირმა ჩიხლაძე, რომელმაც იმგვარი პროფესიონალიზმით გაართვა თავი როლს, რომ დარბაზში დამსწრე თეატრალებმა მოწვეულ პროფესიონალ მსახიობად მიიჩნიეს. ინფორმაციისთვის, ქალბატონი ირმა გახლავთ ქალიშვილი ხელოვანთა ძალიან ცნობილი და მთელი საქართველოსთვის საყვარელ მომღერლებისა — მაყვალა და არჩილ ჩიხლაძეებისა. „ვერსია“ ქალბატონ ირმას პრემიერის შემდეგ შეხვდა და ესაუბრა:

— ეს არაჩვეულებრივი ინიციატივა გახლავთ, პირადად მე, ამ პროექტით უზარმაზარი სიამოვნება მივიღე, დარწმუნებული ვარ, სხვა მსახიობებმა და ჩვენმა რეჟისორებმაც. ვფიქრობ, რეჟისორებისთვის საინტერესო იყო ამ კატეგორიის ადამიანებთან მუშაობა, რადგან მსახიობების მხრიდან იგრძნობოდა ძალიან დიდი აზარტი, თავისუფლება და მზაობა, მთელი არსებით გადაშვებულიყვნენ ხელოვნების მორევში მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი პროფესიონალი არ ვიყავით.

— ქალბატონო ირმა, პირადად თქვენთვის, რა მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ სპექტაკლს და თქვენს მიერ განსახიერებულ გმირს — ანას?

— პიესამ ჩემში გაცნობისთანავე გამოიწვია დიდი ინტერესი. მივხვდი, რომ შესრულების თვალსაზრისით, საინტერესო მასალა იქნებოდა. თავდაპირველად, როლის სიდიდემ შემაშინა, რადგან წარმოდგენა საათზე მეტ ხანს გრძელდება, ჩემს გმირს მთელი სპექტაკლის განმავლობაში უწევს სცენაზე ყოფნა და უამრავი მონოლოგის წაკითხვა, თუმცა როდესაც კარგად გავიაზრე შინაარსი, შევუდექი ჩემი გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტის ჩამოყალიბებას, იმდენად გავითავისე, რომ მიჭირს მასთან განშორება.

— როგორ შეხვდა მაყურებელი სპექტაკლს, წარმოდგენას ასევე ესწრებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი, სამინისტროს თანაშრომლები, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, უსინათლოთა კავშირის წევრები და თეატრალური საზოგადოების მუშაკები...

— წარმოდგენას ბევრი საპატივცემულო სტუმარი ესწრებოდა, მაყურებლის მხრიდან იგრძნობოდა დიდი ინტერესი. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, სპექტაკლმა მათი მოწონება დაიმსახურა. იყო მხურვალე აპლოდისმენტები და მოლოცვები. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას თანადგომისთვის, განსაკუთრებით კი ჩვენს რეჟისორებს, რადგან მომცეს შესაძლებლობა, შემოქმედებითად დავხარჯულიყავი ჩემს საყვარელ საქმეში.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, დარბაზში უამრავ ცრემლიან თვალებს ნახავდით, ადამიანები ემოციებს ვერ მალავდნენ. სპექტაკლი 10 და 12 ივლისს კიდევ გაიმართება, შემდეგ კი გაურკვეველია, რა ბედი ეწევა და როგორ გაგრძელდება თეატრალური დასის საქმიანობა.

ვერსიანიუსი

საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებით, პარლამენტში ახალი კანონპროექტი შევა

საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტრო სექტემბერში პარლამენტში ახალი კანონპროექტით აპირებს შესვლას, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. მისი თქმით, საპროცესო შეთანხმებების ინსტიტუტი, ისეთი, რომელიც დღეს არსებობს, კანონითაა უზრუნველყოფილი, — **„ამიტომ ჩვენ ვმუშაობთ კანონის ცვლილებაზე, რათა პროკურორებმა შეძლონ, ეს ინსტიტუტი ყველა საქმესა და ყველა კატეგორიის დანაშაულზე კი არ გამოიყენონ, არამედ იქ, სადაც ეს იქნება საჭირო. კერძოდ, ეს ინსტიტუტი საჭიროა მაშინ, როდესაც მიზნად ვისახავთ, სასამართლო არ გადაიტვირთოს ნაკლებად მძიმე დანაშაულების საქმეებით და თუკი ბრალდებული თანახმაა, პროკურორთან წავიდეს მოლაპარაკებაზე მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე“.**

წულუკიანის თქმით, იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, სადაც დაესწრნენ, თუ როგორ ხდება პროკურორსა და ბრალდებულს შორის მოლაპარაკება.

„სექტემბრიდან ვაპირებთ, ახალი კანონპროექტით შევიდეთ პარლამენტში. ეს, თავისთავად, გამოიწვევს გაკეთილშობილებას იმ საპროკურორო პრაქტიკისა, რაც დღეს არსებობს“, — განაცხადა წულუკიანმა.

„ინტერპრესნიუსი“

სუდოკუ

ადვილი

	5						4	3
4				7	2			
		6	3	1			9	
1	2	8	4					
					7	8	2	6
	8			4	3	9		
			8	5				7
6	9						5	

სტანდარტი

		1				8	7	
2			6				5	
				8	7		2	
			7				4	9
		5	3		9	6		
9	6				5			
	3		2	6				
	2				8			3
	1	6				2		

რთული

	4	9		6				
	7				3			
6								4
	8	4		2	1		7	
5			3	8	6			1
	1		5	7		3	2	
8								6
			8				4	
				5		2	8	

ექსპერტი

8				3	2		1	
9			4					6
				6		2		
			7				8	
	2	8	1		6	7	4	
	1				4			
		7		4				
2					7			3
	6		2	9				5

1. ჭერმის „მონათესავე“ ხილი
2. ქართული მინერალური წყალი
3. ამერიკ. რელიგიური მუსიკის ჟანრი
4. ძალიან იშვიათი ნივთი
5. ერთი ხელობის ოსტატთა გაერთიანება
6. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
7. იაპონიის უდიდესი ტბა
8. ბარბადოსელი მომღერალი ქალი
9. ნორვეგ. პარლამენტის ქვედა პალატა
10. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი
11. ასლის ბეჭდურად გამრავლების აპარატი
12. კვერნისებრთა ოჯახის ცხოველი
13. ჰაერის მოძრაობა ჰორიზონტ. მიმართულ.
14. ზამბიის სიდიდით მეორე ქალაქი
15. ქვეყანა აზიაში
16. „სამი ბღენძის“ ავტორი
17. მექსიკური არაყი
18. ძვ. ბრაზილ. ფეხბურთელი
19. ბრაზილიელი მწერალი
20. ამერიკული კინოჟანრი
21. კუნძულ კრეტას უმაღლესი მწვერვალი
22. ჭადრაკის ფიგურა
23. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
24. ღვინის საცავი
25. ჯეკ ლონდონის „მარტინ ...“
26. მსახიობი ... გიბსონი
27. ოსტაპ ბენდერის კომპანიონის მეტსახელი
28. ჰომეროსის პოემა
29. მზის ღმერთი ინკების მითოლოგ.
30. ბრაზილიაში შექმნილი მუსიკ. სტილი და ცეკვა
31. ცნობ. ბერძენი სპორანო
32. (კუთხ.) ერთად თავშეყრილი ხალხი
33. დიდი ზომის რეპტილია
34. ათამანტის ცოლი ბერძ. მითოლოგ.
35. ნორვეგიის დედაქალაქი
36. შიგაწვის ძრავის შემქმნელი
37. სომხეთის უდიდესი მდინარე
38. თბილისის ერთ-ერთი უბანი
39. ტირიფის სახეობა
40. ვიოლინოს მსგავსი საკრავი
41. ცისკარას სატრფო
42. ხმელთაშუა ზღვის ნაწილი
43. ბიბლიური აბრაამის ცოლი
44. ვერდის ოპერა
45. მიწაში ამოთხრილი ადგილი
46. ეკლესიის მსახური
47. ფეთქებადი ნივთიერება
48. ბერძნული ანბანის ასო
49. შეტყობინება პრესისათვის
50. მაღაზიათა ქსელი „... პარი“
51. ევკალიპტის დათვი
52. ამერ. მსახიობი ... დიზელი
53. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
54. განმეორებითი ჩხვლეტა ფარიკაობაში
55. ჭაობის მცენარე
56. მოჭადრაკე ... ალექსანდრია
57. სასტუმროს მსახური ბიჭი
58. ინგლ. ფეხბურთელი ... კოული
59. ჯეოსელის ბარათი
60. სუსტი ქარი, ნიავი
61. იგივეა, რაც კვახი
62. გოგეგაშვილის სახელი
63. საოჯახო ელექტროხელსაწყო

მამაკაცებს 8 წამში უყვარდებათ

როგორც აღმოჩნდა, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს სულ რაღაც 8,2 წამი სჭირდებათ, ერთი ნახვით რომ შეუყვარდეთ. რაც უფრო დიდხანს შეაჩერებს პირველ შეხვედრაზე მამაკაცი მზერას ქალზე, მით უფრო დიდია ინტერესი. აღმოჩნდა, რომ თუ დრო 8,2 წამს აჭარბებს, ეს იმ ლეგენდარული, „ერთი ნახვით შეყვარების“ ნიშანია. ამ კანონზომიერების დადგენაში მეცნიერებას 155 მოხალისე ახალგაზრდა დაეხმარა, რომელთაც ფარული კამერებით აკვირდებოდნენ. ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ თუ მამაკაცი ქალს ძალიან ლამაზად მიიჩნევს და მის მიმართ სიმპათია აქვს, მასზე მზერას დაახლოებით 8,2 წამს აჩერებს. გასაკვირია, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებზე ეს წესი არ მოქმედებს. სწავლულები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ მამაკაცები უფრო არიან მიდრეკილი პარტნიორის ძიებისას ვიზუალური კონტაქტისკენ, ქალები კი ცდილობენ, ზედმეტი ყურადღება არ გამოიჩინონ.

ჰოროსკოპი
10 ივლისი

ვერძი — დღე ახალ პერსპექტივას გპირდებათ. თქვენი გზამკვლევი ვარსკვლავი მიზანთან ახალი და მოულოდნელი გზით მიგიყვანთ. იყავით გაბედული და მიჰყევით მას. წარმატება გელით კარიერასა და პირად ცხოვრებაშიც.

კურო — დღე სასიკეთოა, განსაკუთრებით პირად ცხოვრებაში. კაშკაშა ეპიზოდების მოლოდინი ნუ გექნებათ, სამაგიეროდ, სტაბილურობის გრძნობა გაჩნდება. ახლობელი ადამიანების მიმართ ნდობა დაგიბრუნდებათ.

ტყუპები — ტყუპებისთვის შესანიშნავი და ჰარმონიული დღეა, ძალების მოზღვავებას იგრძნობთ, სურვილი გაგიჩნდებათ, ცხოვრება რადიკალური ცვლილებით გაიხალისოთ, რაშიც მეგობრების იმედი შეგიძლიათ გქონდეთ.

კირჩხიბი — დღეს სრულ ჰარმონიაში იქნებით საკუთარ თავსა და გარშემომყოფებთანაც. რეკომენდებულია სასიყვარულო ურთიერთობები, რომანტიკული შეხვედრები...

ლომი — დღევანდელი დღის ენერგეტიკა ლომებს საკუთარი ნიჭის გამოვლენაში დაეხმარება. თქვენთვის შესანიშნავი პერიოდია ახალი ურთიერთობის ან ახალი საქმის დასაწყებად.

ქალწული — დღე სასიკეთოა ქალწულებისთვის ახალი კონტაქტების დასამყარებლად, პარტნიორული ურთიერთობებისთვის... შეგიძლიათ, თამამად ენდოთ სხვა ადამიანს, გაანდოთ გეგმები და ითანამშრომლოთ მასთან.

სასწორი — არ ღირს, დღეს საკუთარი მოვალეობა სხვა ადამიანებს გადააბაროთ. რასაკვირველია, დატვირთვა გაიზრდება, მაგრამ, სამაგიეროდ, წარმატება გარდაუვალია.

ღრიანკალი — დღეს შესაძლოა ახალი იდეები გეწვიოთ და მოზღვავებულმა ემოციებმა მოქმედებისკენ გიბიძგოთ. თუ ყველაფერს ჭკუით გააკეთებთ და საკუთარ ინტუიციასა თუ მეგობრების რჩევებს გაითვალისწინებთ, წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

მშვილდოსანი — დღე მშვილდოსნებს წუთიერი სურვილების ასრულებისკენ უბიძგებს. ზოგჯერ მოვლენები თქვენივე საზიანოდ შეიძლება შემოაბრუნოთ და შედეგად, გეგმების ჩაშლის ალბათობაც გაიზრდება.

თხის რქა — დღეს თუ გაუაზრებელი ნაბიჯის გადადგმისგან თავს ვერ შეიკავებთ, გარშემომყოფები გაგკიცხავენ და მატერიალურადაც დაზარალდებით. ნუ გაუმხელთ საკუთარ გეგმებს კოლეგებს, რადგან დაუფიქრებელმა საუბარმა შესაძლოა, ხელი შეგიშალოთ საკუთარი გეგმების რეალიზებაში.

მერწყული — არ ღირს დღეს პირადი ურთიერთობების მოგვარება და ამაზე ფიქრით თავის გადაღლა, რადგან მარცხი გარდაუვალია, სამაგიეროდ, ყველანაირად შეგეწყობათ ხელი სამსახურში და ფინანსური საკითხიც ადვილად გადაიჭრება.

თევზები — ვარსკვლავები დღეს თევზებს ურჩევენ, ფული საკუთარი ბიზნესის განვითარებაში ჩადონ, დღე სასიკეთოა სამსახურში ავტორიტეტის ამაღლებისა და საჭირო კავშირების დამყარებისთვის.

ჭარბი ვიტამინები მომაკვდინებელ დაავადებებს იწვევს

ვიტამინებისა და მინერალების გამოყენება დიდი რაოდენობითა და ხანგრძლივი პერიოდით, შესაძლოა, ცუდად დამთავრდეს — ის კიბოს, ღვიძლის დაავადებებს, დეპრესიასა და კუჭის ტკივილს იწვევს. კვების სტანდარტის ბრიტანული სააგენტოს სპეციალისტების აზრით, მათ უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლიათ, ვიდრე სარგებლის. ვიტამინების დანამატების მიღებით ადამიანები მათი ბუნებრივი გზით მიღებას წყვეტენ: „ცე" ვიტამინის, კალციუმისა და რკინის მიღება მნიშვნელოვნად მცირდება. ამის გამო, სააგენტომ, პირველად ისტორიაში, ამ დანამატების მკაცრი ყოველდღიური შეზღუდვები გამოაქვეყნა. ერთ-ერთი პრეპარატი კი — ქრომის პიკოლინატი, აკრძალა კიდეც. მას, ჩვეულებრივ, სპორტსმენები და გახდომის მსურველები იყენებენ, რადგან ის მადის ჩაცხრობასა და წონის დაკლებაში ეხმარებათ. შეზღუდვები კი საკმაოდ მკაცრია. მათი რეკომენდაციით, „ცე" ვიტამინის მიღების დღიური ნორმა დღეში 1000 მილიგრამია, მაშინ, როცა ვიტამინების აბების უმრავლესობის დღიური დოზა 2000-3000 მილიგრამია.

ამავე დროს, სააგენტომ მკაცრი გაფრთხილება გამოაქვეყნა ბეტა-კაროტინის, ნიკოტინის მჟავის, თუთიის, მაგნიუმის, ფოსფორის, „ბე-6" ვიტამინის გამოყენებასთან დაკავშირებით. მათი მონაცემებით, ბეტა-კაროტინი ფილტვების კიბოთი დაავადების რისკს ზრდის და ეს არა მხოლოდ მწეველებს ეხებათ. ნიკოტინის მჟავა ღვიძლს ვნებს და კანის პიგმენტაციის შეცვლის მიზეზიც შეიძლება გახდეს — ის შეწითლებას იწვევს. თუთიის ჭარბად გამოყენება ანემიის წარმოშობას უკავშირდება და ძვლებს არბილებს. მაგნიუმს ნერვული მოშლილობის გამოწვევა შეუძლია, მათ შორის დეპრესიის და გადაღლის. დიდი რაოდენობით ფოსფორი კუჭის ტკივილს იწვევს. თანაც, ძვლებს ათხელებს და კალციუმისგან რეცხავს. უკუჩვენებები „ცე" ვიტამინის, რკინისა და კალციუმის ზედმეტ გამოყენებასაც მოჰყვება.

არსებული მონაცემებით, ქალების 40% და მამაკაცების 30% დარწმუნებულია, რომ ვიტამინებისა და კვებითი დანამატების გამოყენება მყარი ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი ცხოვრების გარანტიაა. ყოველწლიურად, ბრიტანელები ვიტამინების შეძენაზე 300 მილიონ გირვანქა სტერლინგს ხარჯავენ. ამიტომაც, ბუნებრივია, ფარმაკოლოგიური ფირმები და სააფთიაქო ქსელები ამ განცხადების გამო, სააგენტოს შემოსწყრნენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს მონაცემები არამეცნიერულია და დამატებით შემოწმებას მოითხოვს. ეროვნული სააფთიაქო ასოციაციის წარმომადგენელმა დამადასტურებლად გვამებიც კი მოითხოვა — აბა, სად გინახავთ მსოფლიოში ხარისხიანი ვიტამინებით მკვდარი კაციო. მათი აზრით, სააგენტო ადამიანებს ტყუილ-უბრალოდ აშინებს — ხელისუფლებას არ სურს ადამიანები თავიანთ ჯანმრთელობაზე თავადვე ზრუნავდნენო.

„ანტიმაფიური" გზამკვლევი შექმნეს

აპენინებზე რეკეტის საწინააღმდეგო ფედერაციამ (Federazione Antiracket Italiana, FAI) სპეციალური გზამკვლევი შეადგინა სახელწოდებით — „გადაუხადე მათ, ვინც არ იხდის". ამ პატარა ბროშურაში იტალიის 1000-ზე მეტი სასტუმრო, რესტორანი, ბარი თუ მაღაზიაა შეტანილი, რომელთა მფლობელებმაც უარი განაცხადეს, გარკვეული თანხა მაფიისთვის გადაეხადათ. გამოცემაში ძირითადად ლაპარაკია იტალიის სამხრეთ რეგიონებზე — სიცილია, კალაბრია დაპულია. როგორც წიგნის შესავალში FAI-ს პრეზიდენტი ტანო გრასო წერს, პროდუქციისა და მომსახურების საფასურის გადახდისას მომხმარებელმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ იმ დაწესებულებაში ვაჭრობისას, რომელიც რეკეტიორებს ფულს უხდის, დანაშაულის უნებლიე მონაწილე ხდება.

იტალიელები სექსს ჰიპნოზით აუმჯობესებენ

ბოლო დროს აპენინებზე საკმაოდ გაიზარდა ჰიპნოზის თაყვანისმცემელთა რიცხვი — როგორც ამბობენ, იტალიელები მისი მეშვეობით ცდილობენ სხვადასხვა დაავადებებისგან განკურნებას, ძილის მოწესრიგებას, მავნე ჩვევებისთვის თავის დანებებას, კარიერის აწყობას, გარეგნობის გაუმჯობესებას და სხვა. როგორც აქაური „რეპუბლიკა" წერს, ჰიპნოზის მოყვარულთა რიცხვი, გასულ წელთან შედარებით, ორჯერ გაიზარდა. იტალიელების თქმით, ის უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ფსიქოანალიზი და შედეგიც უფრო სწრაფად მიიღწევა, ვიდრე სხვა თერაპევტული მეთოდებისას. 10 სეანსის განმავლობაში, რაც 800 ევრო ჯდება, შეგიძლიათ სხვადასხვა დამოკიდებულებას დააღწიოთ თავი და ზედმეტი კილოგრამებიც მოიკლოთ. ჰიპნოზის მოყვარულთა შორის ყველა ასაკის ადამიანები არიან. რომში ადამიანების უმრავლესობა ამ სეანსებით სიყვარულსა და მეგობრობას ეძებს, სექსის საკითხი უფრო ნეაპოლიტანელებს აწუხებთ, მილანელები პრესტიჟისკენ ისწრაფვიან, ფლორენციელები — თავისუფლებისკენ, ბოლონიელებს თვითრეალიზაცია სურთ. როგორც იტალიელმა მკვლევარებმა გაარკვიეს, აქაურებს ჰიპნოზის მეშვეობით, ძირითადად, პირად ურთიერთობებში არსებული პრობლემების მოგვარება სურთ.

ჰოროსკოპი
11 ივლისი

ვერძი — ვერძებს ემოციების აღმაფრენა ელით, რაც პირად ცხოვრებას უკავშირდება — სწორედ ახლა შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს მოვლენები, თანაც თქვენს სასარგებლოდ. ურთიერთობები, ბოლოს და ბოლოს, მკვდარი წერტილიდან დაიძვრება, არ არის გამორიცხული პერსპექტიული ნაცნობობაც.

კურო — კარგი ამბავი სასიამოვნოდ გაგაოცებთ, რომელსაც დღის დასაწყისში შეიტყობთ. მიღებულმა ინფორმაციამ შესაძლოა, მატერიალური სარგებელი მოგიტანოთ.

ტყუპები — დღეს, შესაძლოა, უკმაყოფილო იყოთ კოლეგების ან ნაცნობების საქციელით, მაგრამ თავი შეიკავეთ ემოციების გამჟღავნებისგან, ეცადეთ, პრაგმატულად მიუდგეთ საკითხს და არ გაიფუჭოთ ურთიერთობა გარშემომყოფებთან.

კირჩხიბი — საქმეებმა, შესაძლოა, მოვლენების მორევში ჩაგითრიოთ. მოგიწევთ, დიდი დრო დაუთმოთ სამსახურს, მაგრამ გარშემომყოფთა კეთილგანწყობა კარგ განწყობას შეგინარჩუნებთ და საქმესაც ადვილად გაართმევთ თავს.

ლომი — დღეს მხოლოდ იღბალს ნუ დაეყრდნობით, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდებით. ჯანსაღი აზრი და ინტუიცია საკუთარი მოვალეობის შესრულებაში უდავოდ დაგეხმარებათ.

ქალწული — წარმატებული დღეა პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისთვის, ბიზნესის გამყარებისა და საჭირო ადამიანებთან ურთიერთობების დალაგებისთვის. წარმატებული აღმოჩნდება ის საქმე, რომელიც ფინანსებსა და ოჯახს უკავშირდება.

სასწორი — დღეს შეგიძლიათ წარმატებით წარსდგეთ აუდიტორიის წინაშე, ადამიანები ყოველ თქვენს სიტყვას ყურადღებით მოისმენენ, ამიტომ კარგი იქნება, თუ ამ შესაძლებლობას ჩინოვნიკებთან ან ხელმძღვანელობასთან გამოიყენებთ.

ღრიანკალი — დღეს პირად საქმეებს პროფესიული ინტერესები გადაწონის და ასეც უნდა მოიქცეთ — პირადული სხვა დროისთვის გადადეთ, დღეს კი დასახული საქმიანი გეგმების რეალიზებას შეეცადეთ.

მშვილდოსანი — კარგი იქნება, თუ დღეს მშვილდოსნები ნათესავებს, ახლო მეგობრებს ან კარგ ნაცნობებს მოინახულებენ. ვითარება თქვენგან ახლობელი ადამიანის ცხოვრებაში უშუალო ჩარევას მოითხოვს.

თხის რქა — ინფორმაცია, რომელსაც შუადღისკენ მიიღებთ, დაგეხმარებათ, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესოთ ცხოვრების ხარისხი. ამ ცნობას ყურადღებით მოეკიდეთ და მნიშვნელოვანი დეტალები არ გამოგეპაროთ.

მერწყული — სავსებით შესაძლებელია, მერწყულებმა დღეს თაყვანისმცემლისგან სიყვარულში აღიარება მოისმინონ. იყავით კეთილგონიერი და მოვლენები ობიექტურად შეაფასეთ.

თევზები — დღეს, შესაძლოა, თქვენი „კეთილისმსურველები" გააქტიურდნენ და შეეცადონ, ყველაფერში ხელი შეგიშალონ, თუმცა ყველა მათი მცდელობის მიუხედავად, მაინც მოახერხებთ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას.

სუდოკუმანია

ადვილი

				2			3	1
			1		8	6	5	
5								8
	4			6		7		
2			9		4			3
		3		7			9	
4								6
	6	8	5		7			
1	9			3				

სტანდარტი

	2	6	5					
				6	4	3		
							9	
7		4				9		
1	6						3	8
		2				7		1
	3							
		7	4	3				
					5	4	8	

რთული

8								
		2			7	9		5
1	9			5		4		
				4		2		
3			6		9			8
		1		3				
		4		1			3	9
2		8	5			7		
								2

ექსპერტი

					6	5	1	
5	6				8		3	
			7	5			8	
		9					5	
3								7
	5					6		
	7			9	2			
	1		5				2	9
	9	8	4					

მაღვიძარა საწოლში არ გაგაჩერებთ

ცნობილია, რომ დილით ადრე გაღვიძება ძალიან ბევრ ადამიანს უჭირს, იმის მიუხედავად, მაღვიძარა აქვს მომართული თუ არა. მის დარეკვაზე ბევრი თვალს ახელს, საათს თიშავს და ისევ იძინებს, მაგრამ თუ ახალ მაღვიძარას შეიძენთ, მშვიდ ძილს ვეღარ განაგრძობთ. მისი ავტორი ერთი ბრიტანელი სტუდენტია. საათი მითითებულ დროს რეკავს და მერე ადგილიდან სწრაფად „გარბის“. მოძრაობისას მაღვიძარა კვლავ ხმამაღლა „ყვირის“ და მის გამოსართავად ერთადერთი გზა საწოლიდან ადგომა, უკან დადევნება და ღილაკზე თითის დაჭერაა. მოწყობილობას დიდი ზომის გორგოლაჭები აქვს, რომელიც ნებისმიერ ზედაპირზე, დიდი სიჩქარით გადაადგილდება. ახალი მაღვიძარა 40 გირვანქა სტერლინგი ღირს და მისი შეძენა უკვე შესაძლებელია.

ჩინელებს მოხუცების მონახულებას ავალდებულებენ

ჩინეთის მოსახლეობას, კანონის ძალით, მოხუცი ახლობლების მონახულებას და მათზე ზრუნვას ავალდებულებენ. ახალი კანონის მიხედვით, ცალკე მცხოვრებმა ნათესავებმა ხშირად უნდა მოინახულონ მოხუცი ახლობლები. დამსაქმებლებმა კი, თავის მხრივ, თანამშრომლებს ამ საქმეში ხელი უნდა შეუწყონ და შვებულება მისცენ. გარდა ამისა, ქვეყანაში მოხუცების დღეც დაწესდა, რომელიც შემოდგომაზე აღინიშნება. ახალი ნორმების დაწესება იმან განაპირობა, რომ უპატრონო მოხუცების რიცხვი სულ უფრო იზრდება და დაახლოებით, 180 მილიონს შეადგენს, ახლობლები კი მათზე სულ უფრო ნაკლებად ზრუნავენ. სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში „ცარიელი ბუდის“ ეფექტი საკმაოდ გავრცელებულია — ოჯახების თითქმის 50%-ში შვილები მშობლებისგან ცალკე ცხოვრობენ. ჩინეთის ხელისუფლებამ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ გახშირდა შემთხვევები, როცა ოჯახში მოხუცების უფლებები ირღვევა.

დიდი ცხვირი ინფექციისგან დაგიცავთ

ამერიკელი მკვლევარების მოსაზრებით, თუ ადამიანს შესამჩნევად დიდი ცხვირი აქვს, ყველაზე მეტად არის დაცული სხვადასხვა ვირუსული ინფექციებისგან. სწავლულები დარწმუნებულნი არიან, რომ დიდი ცხვირი ადამიანს გრიპისა და გაციების ვირუსისგან იცავს. რაც უფრო დიდია ცხვირი, მით უფრო დიდია ბუნებრივი ბარიერი, რომელიც ჰაერწვეთოვანი გზით გადამტანი მტვრისა და ბაქტერიების ნაწილაკებს აჩერებს. აიოვას უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა დაადგინა, რომ დიდი ცხვირი ჰაერში არსებულ სხვადასხვა ნაერთებს 7%-ით ნაკლებად იწოვს. ექსპერიმენტისთვის მეცნიერებმა ორი ხელოვნური ცხვირი შექმნეს, ერთი მეორეზე 2,3-ჯერ დიდი და ორივე მათგანი ხელოვნურ სახეზე დაამაგრეს. ექსპერიმენტის შედეგად გაირკვა, რომ დიდმა ცხვირმა 6,5-ჯერ ნაკლები მტვრის ნაწილაკი შეიწოვა, რაც შესაძლო დაინფიცირების რისკს ამცირებს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	3	1	7	2	5	9	6	4
7	6	9	8	4	3	1	2	5
2	5	4	6	9	1	7	8	3
1	7	8	2	3	9	4	5	6
9	4	6	5	1	8	2	3	7
5	2	3	4	7	6	8	1	9
4	9	5	3	8	2	6	7	1
6	1	2	9	5	7	3	4	8
3	8	7	1	6	4	5	9	2

სტანდარტი

4	2	3	9	8	1	5	7	6
5	1	9	7	4	6	8	3	2
8	7	6	3	5	2	4	1	9
3	9	2	6	1	5	7	8	4
1	8	7	2	9	4	3	6	5
6	5	4	8	3	7	2	9	1
9	4	1	5	7	3	6	2	8
7	6	8	4	2	9	1	5	3
2	3	5	1	6	8	9	4	7

რთული

7	3	2	5	4	9	6	1	8
6	1	5	3	2	8	4	9	7
8	4	9	1	7	6	5	3	2
2	9	8	7	6	3	1	5	4
5	6	4	9	1	2	8	7	3
1	7	3	8	5	4	9	2	6
4	8	7	2	9	1	3	6	5
3	5	1	6	8	7	2	4	9
9	2	6	4	3	5	7	8	1

ექსპერტი

7	6	2	4	8	9	5	3	1
5	1	9	7	3	6	8	4	2
3	8	4	2	5	1	9	7	6
1	2	5	3	4	8	7	6	9
9	7	8	6	2	5	4	1	3
6	4	3	1	9	7	2	8	5
4	5	1	9	7	3	6	2	8
8	3	7	5	6	2	1	9	4
2	9	6	8	1	4	3	5	7

ადვილი

2	6	7	4	5	8	1	3	9
1	9	8	3	7	2	6	5	4
5	4	3	6	9	1	8	7	2
6	3	5	2	4	7	9	1	8
9	8	4	1	6	3	5	2	7
7	2	1	9	8	5	4	6	3
8	5	2	7	1	9	3	4	6
4	7	9	5	3	6	2	8	1
3	1	6	8	2	4	7	9	5

სტანდარტი

4	3	1	9	7	2	8	6	5
8	2	9	6	4	5	3	1	7
7	6	5	3	8	1	9	4	2
1	5	4	8	9	7	2	3	6
6	9	3	5	2	4	7	8	1
2	8	7	1	3	6	5	9	4
5	7	8	4	1	9	6	2	3
3	4	6	2	5	8	1	7	9
9	1	2	7	6	3	4	5	8

რთული

6	1	5	9	4	8	7	3	2
2	4	9	3	1	7	8	6	5
8	7	3	2	6	5	4	1	9
7	9	4	6	8	3	2	5	1
3	8	2	5	9	1	6	7	4
5	6	1	7	2	4	3	9	8
4	5	8	1	3	6	9	2	7
9	3	7	4	5	2	1	8	6
1	2	6	8	7	9	5	4	3

ექსპერტი

6	2	4	8	9	5	3	7	1
7	5	3	2	1	6	4	9	8
1	9	8	4	3	7	6	5	2
3	4	2	5	8	1	7	6	9
9	1	6	7	4	2	5	8	3
8	7	5	9	6	3	2	1	4
5	3	7	1	2	9	8	4	6
2	8	1	6	7	4	9	3	5
4	6	9	3	5	8	1	2	7

მე-13 გვერდი: 1. სოლომონი; 2. კანიონი; 3. პარალელოგრამი; 4. მანჰეტენი; 5. ნაირობი; 6. სოლ; 7. ნესესერი; 8. ნადი; 9. ადარნასე; 10. ჰეროდოტე; 11. ოკრიბა; 12. რაი; 13. ტლაპო; 14. ოკულისტი; 15. კიი; 16. გელათი; 17. ტიბრი; 18. იუდეა; 19. გიტარა; 20. რკო; 21. მას; 22. ინია; 23. აული; 24. „ტიიდა“; 25. ლანოლინი; 26. ლოზანა; 27. ნაზარეთი; 28. ლენონი; 29. იორკი; 30. ტრაპერი; 31. ბუი; 32. ყია; 33. უიკენდი; 34. იამაიკა; 35. ადიტი; 36. გურანდუხტი; 37. ალიმენტი; 38. ყამბრო; 39. იოდი; 40. ურდო; 41. ანტრეკოტი; 42. ერგი; 43. ერა; 44. ომი; 45. იოტი; 46. ელინი; 47. ხმელი; 48. ტატუ; 49. სამი; 50. „გრემიო“; 51. აფთი; 52. იანი; 53. ჰელიოსი; 54. პი; 55. კონკა; 56. მენზურა; 57. ქარელი; 58. ლაბა; 59. პანი; 60. ალა; 61. კუჭი; 62. ლოდი; 63. ტურა; 64. კასანდრა; 65. ესქილე; 66. რაბი; 67. ბოა; 68. კილიტა; 69. უზანგი; 70. იტი; 71. ზურაბი; 72. ალი; 73. პიზა; 74. ნეი; 75. სი; 76. რიოსი; 77. ჭადარი; 78. აპრილი; 79. ტიროლი; 80. როლი.

ფერგიუსონის კევი რეკორდულ ფასად გაიყიდა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელის, სერ ალექს ფერგიუსონის ბოლო საღეჭი რეზინი eBay-ს აუქციონზე 592 ათას დოლარად გაიყიდა. კევი ინტერნეტ-აუქციონზე გასაყიდად ერთ-ერთმა გულშემატკივარმა გამოიტანა, რომელიც თითქოსდა „ჰოტორნსის“ სტადიონიდან აიღო. ამ მოედანზე „წითელმა ეშმაკუნებმა“ ადგილობრივ „ვესტ ბრომვიჩთან“ 5:5 ითამაშეს. საღეჭ რეზინში მყიდველმა ზღაპრული თანხა გადაიხადა. როგორც ამბობენ, მთელი ფული საქველმოქმედო მიზნებისთვის დაიხარჯება. გამოდის, რომ სერ ალექსის კევი იმდენივე ღირს, რაც სამი იტალიური ავტომანქანა Ferrari 458 Italia.



1. ისლანდიის დედაქალაქი
2. ჯარების მართვის ორგანო
3. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი
4. ფრანგი მწერალი ალბერ ...
5. კოლხი მედეას დედა
6. მეკარის მოძველებული სახელწოდება
7. რომის ერთ-ერთი ბორცვი
8. საჭმლის მომზადების ოსტატობა
9. აღმოსავლეთი
10. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
11. 1000 კგ
12. -ს ლეგენდა
13. ხორვატი ფეხბურთელი ზვონიმირ ...
14. მეხსიერების ქალღმერთი
15. დიდი თევზსაჭერი ბადე
16. სპორტის „დედოფალი“
17. კონუსური შვრილი გამოქვაბულში
18. სოფელი დუშეთის რაიონში
19. ცხრა კაცისგან შდგენილი ანსამბლი
20. ღონე, ძალა, არაქათი
21. შხამიანი გომბეშო
22. ქალაქი ჩილეში
23. ფრანგ. ყველი
24. უნგრ. ვალუტა
25. (ძვ.) ყანაღი, მძარცველი სამეგრელოში
26. უკუზო აქლემი
27. ახალგაზრდა სპორტსმენი
28. შებოლ. ხორცი
29. ჭადრ. ფიგურა
30. პორტუგალიური ფეხბურთის ვარსკვლავი
31. ... აკუნინი
32. რომში: თანამდებობა
33. კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი
34. მრავალადგილიანი საჰაერო ხომალდი
35. ისტ. სოფელი კახეთში
36. საწინააღდეგოს აღმნიშვნ. წინსართი
37. საქართ. ერთ-ერთი უნივერსიტ. (აბრევიატ.)
38. მედლის წინა მხარე
39. სიდიდით მეორე კუნძული იაპონიაში
40. ჯანმრთელობის ბერძენი ქალღმერთი
41. აშშ-ის კოსმოსური საგენტო
42. მოდელიორი ... რაბანი
43. ტაჯმაჰალით ცნობილი ქალაქი
44. ზევსის ფარი
45. კეთილშობილი მეომარი
46. მსახიობი ვივიენ ...
47. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
48. ყელის მწვავე ინფექციური დაავადება
49. აშშ-ის ტელეპრემია
50. ღამის ფრინველი
51. ერთ-ერთი დაქალი სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“
52. მომკილი თავთავის კონა
53. იერუსალიმის არაბული სახელწოდება ...-კუდსი
54. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
55. საგნის მონასაზი, კონტური
56. მსახიობი ... ბოლდუინი
57. მუდმივა მათემატიკაში
58. რუმინელი ფეხბურთელი
59. თურქეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული
60. ზვიადურის სოფ. „სტუმარმასპინძელში“
61. პარფ. მაღაზიათა ქსელი „...-პარი“
62. ფასიანი ქაღალდების გამოშვება
63. აშშ-ის ექსპრეზიდენ-ტი ... კლინტონი
64. თმის მცენარეული საღებავი

შენდემა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანფანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგინიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

კნავილის უნარის დაბრუნება ძვირი დაუჯდა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ჯინ კელიმ 10 ათასი გირვანქა სტერლინგი ოპარეციაში გადაიხადა, რის შემდეგაც მის კატას კნავილის უნარი დაუბრუნდა. 13 წლის კატამ, სახელად „კედბერიმ“ ხმა, იშვიათი დაავადების — ყელის პარალიჩის გამო დაკარგა. კელის საყვარელ ცხოველს ორი ოპერაციის ჩატარება დასჭირდა, რომელთა ღირებულება 5-5 ათასი გირვანქა სტერლინგი იყო. ოპერაციების შემდეგ კატამ 6 დღე ჟანგბადის კამერაში გაატარა და მერე ოთხი თვის განმავლობაში, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იყო. ხარჯების 60% სადაზღვევო კომპანიამ დაფარა, დანარჩენის გადახდა კი მზრუნველ პატრონს საკუთარი ჯიბიდან მოუხდა. ამის გამო კელიმ დაგეგმილ შვებულებაზე უარი თქვა, რომლის დროსაც ნამიბიაში მოგზაურობას აპირებდა. კატა ახლა უკვე ჯანმრთელია და პატრონიც — კმაყოფილი — მისი საყვარელი ცხოველი უპრობლემოდ ახერხებს კნავილს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.